F 179
1950

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცამეტე

№ 10	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1950 ₾.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3953, ქლუხორის რაიონის სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3931, 1949/50 სასწავლო წელს დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი, სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ 21

F 1921

თ ბ ი ლ ი ს ი — 1950

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3953

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 16 ოქტომბერი

ქლუხორის რაიონის სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქლუხორის რაიონის სკოლებში სასწავლო საალმზრდელო მუშაობის შემოწმების მასალების საფუძველზე აღვნიშნავ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით რაიონის სკოლებს ნორმალური პირობები აქვთ შექმნილი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

რაიონის სკოლებს გააჩნია კარგად შეკეთებული სასკოლო შენობები, სკოლები უზრუნველყოფილია ზამთრისათვის სათბობი მასალით, საგრძნობლად გადახალისებულია მასწავლებელთა შემადგენლობა, რომელთა შორის ბევრია თავისი საქმის კარგი ოსტატი. მასწავლებელთა უმრავლესობა ზრუნავს თავისი პედაგოგიური დახელოვნებისათვის და იბრძვის გაკვეთილის მაღალი ხარისხისათვის. სკოლების დიდი ნაწილის მოსწავლენი საკმაოდ მტკიცედ ეუფლებიან მეცნიერებათა საფუძვლებს და შესწევთ უნარი სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა.

დედაენის სწავლებისა და სწორი კალიგრაფიული ხელის გამომუშავების საქმეში კარგ წარმატებას აღწევს ტებერდის ქართული საშუალო სკოლის 1-ლი კლასის მასწავლებელი ელ. მეტრეველი, მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად II კლასის მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა წერს ფაქიზად, კითხულობს და მეტყველებს გამართულად. არაქართულ სკოლაში ქართული ენის სწავლების მეთოდებს კარგად არიან დაუფლებული და მოსწავლეთა კარგ მომზადებას აღწევენ ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლები შ. ბოკუჩავა და შ. გველესიანი. მათი მოსწავლეები შეგნებულად, გააზრებულად მეტყველებენ და პროგრამულ

მასალას კარგად ფლობენ. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში კარგ შედეგებს აღწევენ, მოსწავლეებს საფუძვლიან ცოდნას აწვდიან და სწავლებისას იყენებენ აქტიურ მეთოდებს. ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლები ა. ნიკიტინა, ა. ვოლკოვა, ფ. ალენიკოვა, ვ. მერკვულავა, ლოსკუტნიკოვა.

კარგ შედეგებს აღწევენ აგრეთვე საგნის სწავლებაში კურორტ ტებერდის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლები ე. იაგლოვსკაია, ა. ლებედევა და ლ. მელნიჩენკო. ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებას კარგად წარმართავენ ქლუხორის საშუალო სკოლაში მასწ. ს. ბოკუჩავა და ბარის რვაწლიან სკოლაში ე. ხოლმოგოროვა.

რაიონის რიგ სკოლებს საკმაო წარმატება აქვს მოპოვებული მათემატიკის სწავლებაში. მასწავლებელთა ძირითადი შემადგენლობა კარგად ფლობს საგნის სწავლების აქტიურ მეთოდებს. ქლუხორის საშუალო სკოლის IX—XI კლასის მოსწავლენი გავლილი მასალის ღრმა ცოდნას ამჟღავნებენ (მასწ. ა. მარგალიტაძე). კარგად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება აგრეთვე ამავე სკოლის X (მასწ. ნოზაძე) და VIII კლასებში (მასწ. არიშვილი). ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლენი (მასწ. სოლოვიოვა) კარგად ერკვევიან გეომეტრიის პროგრამით გათვალისწინებულ მასალაში, საკმაო რაოდენობით აკეთებენ ამოცანებს აგებაზე და გამოანგარიშებაზე. ამავე სკოლის IV—III კლ. არითმეტიკის მასწავლებლები ნიკიტინა და გუდიმენკო მასალის შესწავლისას ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეებს უმუშავებენ ამოცანებზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევას და დიდი ყურადღებით ეჭცევიან ზეპირ ანგარიშში მოსწავლეთა გაწაფვას, ასევე კარგად მუშაობს კურორტ ტებერდის რუსული საშუალო სკოლის IV კლასის არითმ. მასწავლებელი რ. რებკოვეცი, რომლის მოსწავლეებმაც კარგად იციან მრავალნიშნა რიცხვებზე მოქმედებანი, ხოლო V კლასის მოსწავლენი დამოუკიდებლად, თავისუფლად აკეთებენ საკმაოდ რთულ ამოცანებსაც კი.

ქიმიის სწავლების საქმეში კარგი შედეგები აქვს კურორტ ტებერდის საშუალო სკოლას. მასწავლებელი ა. პ. მოროზოვა საგნის სწავლების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მსოფლმხედველობითი მნიშვნელობის საკითხებს ნივთიერებათა წონის მარადისობის კანონს, მოლეკულისა და ატომების რეალობას, სინთეზური ქიმიის მიღწევებს და სხვ. VIII—X კლასის მოსწავლეებმა იციან საბჭოთა ქიმიის ამოცანები და კონკრეტული

წარმოდგენა აქვთ მრეწველობის განვითარების საქმეში ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ქიმიკოსების მიღწევებზე; კარგად იციან ქიმიური ცნებები და კანონები, დაუფლებულნი არიან პროგრამულ მასალას. მოფიქრებულად წერენ ქიმიურ რეაქციათა ტოლობებს, გააზრებულად მსჯელობენ გაკვეთილებზე ჩატარებული სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის შედეგების შესახებ. მასწ. ა. მოროზოვა საგნის სწავლების პროცესში სისტემატურად იყენებს ხელსაწყოებსა და რეაქტივებს. იგი კარგად ხელმძღვანელობს ნორჩ ქიმიკოსთა წრის მუშაობასაც.

ბიოლოგიის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაკვეთილებს ატარებს შინაარსიანად და მიმზიდველად, მაქსიმალურად იყენებს ბიოლოგიის კაბინეტს, იცნობს განათლების სამინისტროს ბრძანებებს და დირექტივებს ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ და ანხორციელებს მას. მოსწავლეთა უმრავლესობა საგნის დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებს. ასე მაგალითად, ქლუხორის ქართული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა ბოტანიკაში (მასწ. ვ. ტუკვაძე) სწორად განმარტეს ვაზის აგებულება და ბიოლოგიური თავისებურება, მათ იციან ვაზის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობები, იცნობენ ხეხილკენკროვან მცენარეთა მიჩურინულ ჯიშებს, ბოსტნის მცენარეებს, მათ აგებულებისა და ბიოლოგიურ თავისებურებებს. VIII კლასის მოსწავლეებმა ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს.

მასწავლებლებმა ახალი მასალის „ძვალკუნთოვანთა სისტემის" ახსნისას მოხდენილად გამოიყენა თვალსაჩინოება. კარგად აუხსნა მოსწავლეებს ძვლის ქიმიური შემადგენლობის ცვლილება ასაკის მიხედვით და მასთან დაკავშირებული ძვლის თვისებათა ცვლილებანი.

ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეები (მასწ.ე.კ. კარტაშევა) ერკვევიან ერთლებნიან და ორლებნიან მცენარეთა თესლების აგებულებაში. მათ იციან მცენარეთა უჯრედის აგებულება (პროტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლები უჯრედის წვენით, გარსი).

ახალი მასალის „თესლის შედგენილობის" ახსნისას მასწავლებელმა კარგად ჩაატარა სადემონსტრაციო ცდა, რის შედეგად მოსწავლეებმა სწრაფად აითვისეს ახალი მასალა.

სამოქალაქო ისტორიის სწავლების საქმე კარგად არის დაყენებული ქლუხორის რუსულ საშუალო სკოლაში (მასწ.ს.ყალიჩავა). მასწავლებელი მეთოდიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით გაკვე-

თილს ატარებს სწორად და აღწევს მოსწავლეთა მიერ ისტორიული მასალის შეგნებულ ათვისებას. აღნიშნული სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა საფუძვლიანად იციან გავლილი მასალა. მათ სწორად და ამომწურავად დაახასიათეს პეტრე პირველის საშინაო პოლიტიკური რეფორმები მმართველობის დარგში.

დამაკმაყოფილებელია ისტორიაში მოსწავლეთა ცოდნის დონე სოფ. ტებერდის საშუალო სკოლაშიც. ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს (მასწ. ბაბუაძე) აქვს გმომუშავებული მასალის დალაგებით თხრობის უნარი; მათ კარგად აღწერეს აღმოსავლეთ სლავების ყოფა-ცხოვრება, ერკვევიან იმ მიზეზებში, რამაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთ სლავთა პირველ პოლიტიკურ გაერთიანებების შექმნას, სწორად ესმით კიევის სახელმწიფოს დაშლის მიზეზები და სხვ. ასევე, ცოდნის დამაკმაყოფილებელ დონეს ამჟღავნებენ აღნიშნული სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები (მასწ. გიორგხელიძე). მათ იციან დასავლეთი რომის იმპერიის დაღუპვის მიზეზები; კარგად აღწერეს ცვლილებები ევროპის საზოგადოებრივ წყობილებაში და სხვა.

უცხო ენის სწავლების კარგ ნიმუშებს იძლევიან კურორტ ტებერდის საშუალო სკოლის მასწავლებლები მ. შტენდერი და მ. მარკაროვა (გერმანული) და ქლუხორის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. არიშვილი (ფრანგული), აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეებს ცოდნის გარკვეული მარაგი გააჩნიათ, კითხულობენ დამაკმაყოფილებლად, საკმაოდ ერკვევიან პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ ფორმებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა ქლუხორის რაიონის სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებანი:

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ჯერ კიდევ ყველა მასწავლებლის მიერ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობას, ახსნით კითხვას, ენის სწავლების დაკავშირებას ლიტერატურულ მასალასთან და მართლწერის საკითხებთან. ასე, მაგალითად, ქლუხორის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელმა ქ. კობეშავიძემ საკითხავი მასალა „თბილისი" გაკვეთილზე ისე ახსნა, რომ მოსწავლეთათვის უცნობი დარჩა ტექსტში მოხსენებული რიგი ისტორიული მოვლენებისა. მოსწავლენი ვერ ერკვევიან დროში (მათ V საუკუნე 3—7—15—18 წლის წინათ ჰგონიათ). ამავე სკოლის და ტებერდის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლენი (მასწ. გ. კობერიძე და ი. აზანაშვილი) ძველი მწერლობიდან ნიმუშებს თხრობენ დაუხვე-

წავი ენით, ამჟღავნებენ ტექსტის უცოდინარობას. ტებერდის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა „შუშანიკის წამების“ საისტორიო და ლიტერატურული მნიშვნელობა ვერ გამოკვეთეს შესაფერისად. აღნიშნული მასწავლებლები გრამატიკული მასალის გამეორებისას არღვევენ თანმიმდევრობას. მასწავლებელ ი. აგანაშვილს XI კლასში ქართული ენის წლიური კალენდარული გეგმაც კი არა აქვს შედგენილი, ამის გამოა, რომ ენაში მოსწავლეებს დავალება ჰქონდათ ზმნის ზოგიერთი კატეგორიების გამეორება და ახალ მასალად ზმნის დანარჩენი კატეგორიების ნაცვლად II ტიპის სახელთა ბრუნება მისცა. ამავე სკოლის VII კლასის მოსწავლეებს გავლილი ლიტერატურული მასალა სრულებით არ ახსოვთ, დახმარების გარეშე არ შეუძლიათ წაიკითხონ ზეპირად არც ერთი ლექსი (მასწ. ვ. შათირიშვილი). ასევე სუსტად იციან გავლილი მასალა მადნისხევის IV—VIII კლასის (მასწ. ნ. ადაშვილი) და ბარის რვაწლიანი სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ს. დარახველიძე). დაბალია მათი მეტყველების დონე და სუსტია კითხვის ტექნიკა. გრამატიკული მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ ამავე სკოლის V კლასის მოსწავლენი (მასწ. კირვალიძე).

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენის სწავლება კურორტ ტებერდის რუსულ საშუალო სკოლაში. III—V—VI კლასების მასწავლებელი მ. მოსაშვილი საგნის მეტად დაბალ ცოდნას იჩენს, ამჟღავნებს უწიგნურობას და მუშაობს უგეგმოდ. სუსტად ამუშავებს მოსწავლეებს საპროგრამო მასალაზე, სრულებით არ აწარმოებს სალექსიკონო მუშაობას, რის გამოც მოსწავლენი ვერ ახერხებენ ქართულ ენაზე მარტივ შეკითხვაზე პასუხის გაცემას, კითხულობენ ცუდად. ამავე სკოლის IV—VIII კლასების მასწავლებელი კ. ლილუაშვილი ვერ ფლობს არაქართულ სკოლაში ქართული ენის სწავლების მეთოდებს, სუსტად იცის რუსული ენა; გაკვეთილის გადაცემის დროს ვერ ახერხებს კლასის მთლიანად ჩაბმას მუშაობაში.

ზოგიერთ სკოლაში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური მითითება „ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის ნორმების, სახეებისა და გასწორების შესახებ“. II—III კლასებში სუფთა წერა არ წარმოებს „ქართული წერის დედანის“ მიხედვით. არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება მოსწავლეთა ჯდომას, კალმისტარის სწორად დაჭერას. მასწავლებლები არ აჩვევენ მოსწავლეებს დამოუკიდებელ წერას, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე.

მაგალითად, სუსტად მიმდინარეობს სუფთა წერის ჩვევების დანერგვისთვის მუშაობა ქლუხორის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში, მოსწავლეებმა არ იციან ასოთა გადაბმა, წერენ უსუფთაოდ. ამავე სკოლის XI კლასში 16/IX ჩატარებული წერითი ნამუშევარი 25/IX ჯერ კიდევ გასწორებული არ იყო, ხოლო VIII კლასში მხოლოდ ერთი წერაა ჩატარებული და ისიც მასწავლებელ დ. ნათოშვილის მიერ გაუსწორებელია. ტებერდის საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელი ე. შათირიშვილი მოსწავლეებს წინასწარ აცნობს საწერ თემას, ყველას ცალკე ფურცლებზე აქვს შესრულებული სამუშაო და შესაძლებლობა ეძლევათ გადაწერისა, ხოლო როდესაც დამოუკიდებლად წერენ, უმრავლესობა იღებს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს, ასე, მაგალითად, 19/IX—„ამირანის დახასიათება", 19 მოსწავლიდან „2"-ზე შეასრულა 12 მოსწავლემ. მოსწავლეთა არადამოუკიდებელ მუშაობას ადასტურებს ამავე სკოლის IX კლასისა და ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრებიც. მთისძირის დ/სკოლის IV კლასის 16 მოსწავლიდან (მასწ. აბ. გულდედანი) 9 მოსწავლე სისტემატურად იღებს წერაში ნიშანს „1" და „2"-ს. ძლიერ დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე კურორტ ტებერდის საშუალო სკოლის ყველა კლასში (მასწ. მ. მოსაშვილი, ი. ჩიქოვანი, კ. ლილუაშვილი), წერით მუშაობას არ აქვს სისტემატური ხასიათი, ნამუშევრები სწორდება უხარისხოდ, საკლასო და საშინაო წერის დავალებათა რვეულები მოსწავლეებს მოუწესრიგებელი აქვთ.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ნაწილს საგნის წლიური კალენდარული გეგმა არა აქვს სწორად შედგენილი. ბევრ მათგანს ერლვევა გაკვეთილის ორგანიზაცია, რაც სწავლების ხარისხზე ახდენს გარკვეულ გავლენას. ასე, მაგალითად, კურორტ ტებერდის რუსული საშუალო სკოლის IV კლასის წლიურ კალენდარულ გეგმაში (მასწ. კ. ლილუაშვილი) არ არის გათვალისწინებული გრამატიკული მასალა. მასწავლებელ მ. მოსაშვილის მიერ სკოლის დირექციაში წარდგენილია მოსწავლის მიერ ურიცხვი და უხეში შეცდომებით გადაწერილი გეგმა, რომელიც არც მასწავლებელს და არც სკოლის დირექტორს ი. ჩიქოვანს არ წაუკითხავს და 1950 წლის 17/VIII „დაუმტკიცებია". IX—X კლასის მასწავლებელ ი. ჩიქოვანის მიერ საგნის წლიური კალენდარული გეგმა შედგენილია ნაჩქარევად, მასალა განაწილებული არ არის კალენდარულ დროში, ხოლო ლიტერატურულ—საკითხავ მასალიდან

ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი!?“-დან ზოგიერთი თავები შემდეგ. რედაქციითა და თანამიმდევრობით აქვს შეტანილი. „თავადი ლუარსაბ თათქარიძე“. ი. ჭავჭავაძის (ნაწყვეტი „კაკო ყაჩაღიდან“ — „ბუზების თვლა“, „თათქარიძის სახლ-კარი“. ამავე კლასში მასწავლებელი არღვევს გაკვეთილის ორგანიზაციას, ერთ მოსწავლეს 15 წუთს დაფაზე უმიზნოდ აწერინა თავისუფალი წინადადებები. იმავე კლასებში მასწავლებელ ი. ჩიქოვანს 20 სასწავლო საათის განმავლობაში გავლილი აქვს მხოლოდ 5 საათის მასალა, კერძოდ X კლასში ორი ლექსი, რომელიც 6 სტროფისაგან შედგება. ქლუხორის საშუალო სკოლის XI კლასის მასწავლებელმა დ. ნათიშვილმა ახალი მასალა ქართულ ენაში 4 წუთის განმავლობაში სცადა „აეხსნა“, ხოლო 40 წუთის განმავლობაში ძველი მასალა მხოლოდ ორი მოსწავლის გამოკითხვით აღრიცხა. ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის V კლასის ქართული ენის მასწავლებელი ი. ქუბაშვილი გაკვეთილზე დროს რაციონალურად ვერ იყენებს, ხშირად მიმართავს მოსწავლეებს ზედმეტი, ზოგჯერ აღმზრდელობითი თვალსაზრისით გაუმართლებელი, ფრაზებით, რაც საკმაო დროს აკარგვინებს. ამავე სკოლის IV კლასის მასწავლებელმა მ. ბრეგვაძემ კლასში ახალ მასალად ახსნა ლექსი „შემოდგომა“ ისე, რომ სახელმძღვანელოში გამოტოვა 9 პარაგრაფი, რომელიც ლექსიკურ მასალას ამზადებს აღნიშნული ლექსის უკეთ შესასწავლად.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული მადნისხევის რვაწლიან სკოლის IV—VIII კლასებში. მასწავლებელი ირ. გავაშელი არ არის ამ საგნის სპეციალისტი. ატარებს მეთოდურად გაუმართავ და არა სრულყოფითი გაკვეთილებს. სიტყვებზე მახვილს უადგილოდ ხმარობს. მოსწავლეთა წინაშე სვამს არასწორ კითხვებს. ასე მაგალითად, „Очень много фрукты осени или всна?“, Выходи на доску по грамматике“, „Кто меня скажет, за осенью еще какое время идет?“ ასევე მახინჯად პასუხობენ მოსწავლენიც. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებაში იჩენს დაუდევრობას, გაუსწორებელს სტოვებს 15—20 შეცდომას და ნიშანი „2“-ზე შესრულებულ ნამუშევარს „4“-ზე აფასებს. საგნის წლიური კალენდარული გეგმა შედგენილი აქვს ცუდად. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა ქლუხორის ქართულ საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში (მასწ. კ. კობეშავიძე). ზემო მადნისხევის დ/სკოლის მასწავლებელი გ. მარგიანი საგნის უცოდინარობას იჩენს, არ იცნობს რუსულ ენაში წერა-კითხვის სწავლების მეთოდს.

ახალი ასო „Щ“ ისე გააცნო მოსწავლეებს, რომ არ აჩვენა ასოს ელემენტების მოხაზულობა.

ტებერდის საშუალო სკოლის II—III კლასის მასწავლებლები ნ. ჩაგელიშვილი და ე. შათირიშვილი ენის უცოდინარობის გამო ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ რუსული ენის საპროგრამო მასალის შეთვისებას. უჭირთ წერითი სამუშაოების მართებულად ჩატარება და მათი გასწორება, სალექსიკონო მუშაობის ორგანიზაცია და სხვ.

მათემატიკა არადამაკმაყოფილებლად ისწავლება კუროორტ ტებერდის საშუალო სკოლის მე-9—10 კლასებში (მასწ. პ. ავერინი), მოსწავლეებმა სუსტად იციან მიმდინარე საპროგრამო მასალა. მათ არ ახსოვთ გავლილი მასალის ძირითადი საკითხები. ხუთოსანმა მოსწავლემ ვერ შეადგინა არითმეტიკული პროგრესია როცა $a=\frac{1}{2}$ და $d=0,5$; ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი ტრიგონომეტრიაშიც. ხუთოსანმა მოსწავლემ არ იცის ტრიგონომეტრიის ძირითადი ფორმულები. მოსწავლეებმა ვერ გააკეთეს მაგალითები $\operatorname{tg}\alpha=2$ იპოვეთ დანარჩენი ტრიგონომეტრიული ფუნქციები და $\cos\alpha$ გამოსახეთ $\operatorname{tg}\alpha$-ის საშუალებით.

ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები სუსტად ერკვევიან გეომეტრიის საპროგრამო მასალაში (იგივე მასწავლებელი), მათ არ იციან სამკუთხედის მსგავსობის ნიშნები. კლასმა ვერ ამოხსნა მარტივი ამოცანა გამოანგარიშებაზე.

ამავე სკოლის მე-7 კლასში მასწავლებელი გურიანოვა მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს. არ აქცევს საჭირო ყურადღებას საშინაო დავალების შემოწმებას. მოსწავლეებმა არ იციან მრავალწევრთა გამრავლება. ბევრმა მათგანმა არ იცის მრავალწევრთა დალაგებაც.

ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე მათემატიკის სწავლება ქ. ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის მე-11 კლასში (მასწ. ეკ. ბორისენკო). მოსწავლეებს არ ახსოვთ გავლილი მასალა არითმეტიკის კურსიდან; მათ არ იციან მოქმედებანი ჩვეულებრივ წილადებზე, სუსტად იციან,აგრეთვე, ტრიგონომეტრიული მასალა. მოსწავლეებმა ვერ ამოხსნეს $\sin x \cos x=0$ (x-ის მიმართ). ვერ გაამარტივეს $\sin(-500)$, სუსტად იციან ტრიგონომეტრიული ფუნქციების პერიოდულობა.

ქლუხორის ქართული საშუალო სკოლის მე-4 კლასში მასწავლებელი ო. ბუხრაშვილი ვერ ფლობს სწავლების აქტიურ მეთოდებს და

გაკვეთილებს მშრალად გადასცემს; საპროგრამო მასალას ვერ უკავშირებს პრაქტიკულ საკითხებს. მცირე დროს ანდომებს ამოცანებზე ვარჯიშს. მოსწავლეებმა სუსტად იციან მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება მზისის რვაწლიან სკოლაში (მასწ. დ. გავაშელი), მოსწავლეებმა სუსტად იციან საპროგრამო მასალა. მე-7 კლასის მოსწავლეებმა არ იციან პერპენდიკულარისა და დახრილის განმარტება. მოსწავლეებს უაზროდ აქვთ დაზეპირებული ზოგი არასწორი ცნებები და განმარტებები; ასე, მაგ. „მოსაზღვრე კუთხეებს ორი კუთხე ტოლი აქვთ", „კუთხიდან გამოსულ სწორ ხაზს ბისექტრისა ეწოდება", „სიბრტყე, რომელიც შემოხაზავს დასრულებულ სწორ ხაზს წრეხაზი ეწოდება", „დასრულებულ ხაზს ეწოდება წრეხაზი". მასწავლებელი გავაშელი გაკვეთილს უხარისხოდ და მოუმზადებლად ატარებს. მან 22/IX გადაცემული გაკვეთილი ხელმეორედ გადასცა 27/IX, ახალი მასალის გადაცემას მხოლოდ 3 წუთი მოანდომა. მასწავლებელი დამახინჯებული ენით ლაპარაკობს: „მანახიე ცარცი", „ხაზს შუაზე გადავკვეთამთ", „როგორ დაწერავ და როგორ წაიკითხამ" და სხვა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქლუხორის რაიონის რიგ სკოლებში უხარისხოდ ატარებენ საკონტროლო წერით სამუშაოებს. წერითი ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგი სკოლის მასწავლებელი ნამუშევარს არ ასწორებს გულდასმით და ხშარად შეუმჩნეველი რჩება შეცდომების საკმაო რაოდენობა. ასე, მაგ.: მზისის 8-წლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრები დაუდევრადაა გასწორებული (მასწ. დ. გავაშელი), გამოტოვებულია შეცდომები და შეუნიშნავია, რომ მოსწავლეებს ერთმანეთისაგან აქვთ გადაწერილი. ქლუხორის ქართული და რუსული სკოლების მე-4 კლასებში საკონტროლო წერები დღემდე არ ჩატარებულა.

ზოგიერთ საშუალო და რვაწლიან სკოლაში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებები ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ფიზიკის კაბინეტებისათვის გამოყოფილი არ არის ცალკე ოთახი მადნისხევის რვაწლიან და კურორტ ტებერდის რუსულ საშუალო სკოლებში, გამოყოფილი ბინებიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას და კეთილმოუწყობელია ნორმალური მუშაობის წარმოებისათვის, ქლუხორის რუსულ საშუალო სკოლაში გამოყოფილი ბინა მცირე

ფართობისაა და გამოყენებულია ხელსაწყო-იარაღებით შევსებული კარადების მოსათავსებლად (საპრეპარატოროდ). ამ სკოლაში ფიზიკის გაკვეთილები საკლასო ოთახებში ტარდება. არ წარმოებს კაბინეტების სისტემატური შევსება ხელსაწყო-იარაღებით და ძ�bული ხელსაწყოებიც არასწორად არის განაწილებული სკოლებს შორის. ქლუხორის ქართულ საშუალო სკოლაში 5 ცალი თერმოსკოპია, 5 ცალი ელექტრომაგნიტი, 4 ცალი თარაზო და სხვა მაშინ, როდესაც სხვა სკოლებში ასეთი სრულებით არაა.

კურორტ ტებერდის რუსულ საშუალო სკოლაში ხელსაწყო-იარაღები დამტვერიანებული და გამოუყენებელია. ფიზიკის კაბინეტში არსებული ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვის საქმე მოუწესრიგებელია. თითქმის ყველა სკოლაში დადგენილი ფორმის საინვენტარო საალრიცხვო ჟურნალი შეუვსებელია, ან შევსების დროს ზოგიერთი ხელსაწყო სრულიად არაა შეტანილი, რაც ხელს უწყობს მეტად ძვირფასი ხელსაწყო-იარაღების დაკარგვას.

ფიზიკის კაბინეტთან არაა შექმნილი ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, არ აქვთ დამხმარე ხელსაწყო-იარაღები, გამოყოფილი არ არის ადგილი საგნობრივი და ტექნიკური წრეების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ამის შედეგად აღნიშნულ სკოლებში არანორმალურად მიმდინარეობს ფიზიკის სწავლება. არ ტარდება სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული სამუშაოები და სრულიად არ არის ამ მიზნისათვის გამოყენებული თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღები, მასწავლებლებს გაკვეთილზე არ გამოაქვთ საშინაო დავალებად მიცემული თეორიული მასალის სადემონსტრაციოდ ხელსაწყო-იარაღები, სწავლების გასათვალსაჩინოებლად არ იყენებენ სქემებს, ნახაზებს და პლაკატებს. მოსწავლეებს ნაკლებად ეძლევა დავალებად წერითი სამუშაოები ამოცანების ამოხსნაზე, სქემების და ნახაზების შედგენაზე, დაკვირვებათა ცხრილების შედგენაზე და სხვ. მასწავლებელთა დიდ უძრავლესობას, გარდა სტაბილური სახელმძღვანელოსი, არ გააჩნია დამხმარე და მეთოდური ხასიათის ლიტერატურა, ისინი არ ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე და გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებენ, რის შედეგადაც მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას უჭირს კანონებისა და ცნებების სიტყვიერი ფორმულირება, მოსწავლეები არ არიან გარკვეული ფიზიკურ მოვლენათა კანონზომიერებაში, მექანიკურად აქვთ გაზეპირებული ფორმულები, არ შესწევთ უნარი მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა.

კურორტ ტებერდის რუსულ საშაულო სკოლის IX კლასში (მასწ. ვ. ავერინი) მოსწავლეებმა ვერ შესძლეს თანაბარაჩქარებული მოძრაობის სიჩქარისა და გზის ფორმულების გამოყვანა მასწავლებლის დაუხმარებლად, ისინი არ არიან ნავარჯიშევი ამოცანების ამოხსნაზე. ამავე სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ვერ ჩამოაყალიბეს სიტყვიერად მსოფლიო მიზიდულობის კანონი, არ ესმით ფორმულაში $1 = K\frac{m_1 m^2}{r^2}$ შემავალი სიდიდეთა ფიზიკური შინაარსი, ვერ განმარტეს თანაბარი წრიული მოძრაობა, ბრუნვის პერიოდი, ბრუნვის სიხშირე და ხაზოვანი სიჩქარის მიმართულება ბრუნვით მოძრაობის დროს. ამ კლასის მოსწავლეებს საშინაო დავალების რვეულებში გამოყვანილი აქვთ მხოლოდ სამი ამოცანა და კლასის არც ერთ მოსწავლეს ფიზიკის ამოცანათა კრებული არა აქვს. სოფელ ტებერდის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეთა ერთი ნაწილი (მასწ. მ. ნარეშელაშვილი) ახერხებს ზოგ საკითხებზე პასუხის გაცემას, მაგრამ ნაამბობი არა აქვთ გააზრებული. ზოგ მათგანს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სიგრძის, ფართობის და მოცემულობის გაზომვაზე, მათ საზომ ერთეულებზე.

ქიმიის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპროგრამო მასალის შესწავლის პროცესში ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეებში დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებას, ფიზიკური და ქიმიური მოვლენების შესწავლისათვის არ იყენებს თვალსაჩინო სწავლების მეთოდებს, არ ზრუნავს სასწავლო კაბინეტების მოწესრიგებასა და მის გამოყენებაზე, არ იცნობს განათლების სამინისტროს ბრძანებებსა დი დირექტივებს საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების შესახებ, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ელემენტარული საკითხების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს, ასე მაგალითად, ბარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ქ. ბექაშვილი არ არის დაუფლებული საგანს და არ იცნობს ქიმიის სწავლების მეთოდებს. VIII კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ქიმიაში ძლიერ დაბალია. მათ წარმოდგენა არ აქვთ მოლეკულებისა და ატომების რეალობაზე მათი სიდიდისა და მოძრაობის შესახებ. არ იციან წყლის გასუფთავების ხერხები და ფიზიკური თვისებები: „წყალი ორგვარია—ლურჯი და თეთრი, თეთრი მაშინ, როდესაც წყალი თხელია და ლურჯი—როდესაც წყალი ღრმაა“, ასეთი უაზრო პასუხი იქნა მოსწავლეების მიერ გაცემული მასწავლებლის კითხვებზე.

ტებერდის საშუალო სკოლის X—XI კლასის (ყოფ. მასწავლებელი გ. ოგანეზოვი) მოსწავლეებს არ უნახავთ ცდები, ვერ წერენ რეაქციათა ტოლობებს ფუძეებისა და მარილთა მიღების ხერხებზე, არ იციან მჟავათა თვისებები და მნიშვნელოვან ნაერთთა გამოყენება პრაქტიკაში. XI კლასის მოსწავლეები ორგანული ქიმიის სრულ უცოდინარობას იჩენენ. გავლილი მასალიდან მათ ვერ დაწერეს ვერც ერთი ნაერთის ქიმიური ფორმულა და ვერაფერი თქვეს მათი თვისებების შესახებ.

ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის XI კლასის (ყოფ. მასწავლებელი ი. შატოვი) მოსწავლეებმა გავლილი მასალიდან ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნეს. მათ არ იციან მჟავის, ფუძისა და მარილის ცნებები, ვერ დაწერეს ნახშირმჟავა, მისი მარილების ქიმიური ფორმულები; არ ახსოვთ ორგანული ქიმიიდან სპირტების, ალდეჰიდების, კეტონებისა და მჟავების აგებულება; არ აქვთ წარმოდგენა სინთეზური ქიმიის მნიშვნელობის შესახებ და სხვ. კაბინეტის ხელსაწყოები და რეაქტივები არეულია ფიზიკა-ბიოლოგიის პრეპარატებში და ხელსაწყოებში და არ არის გამოყენებული საგნის სწავლებაში.

ბიოლოგიის ზოგიერთი მასწავლებელი საპროგრამო მასალის შესწავლის პროცესში არ იყენებენ თვალსაჩინო სწავლების მეთოდებს (ცდა, ლაბორატორიული მუშაობა, უშუალო დაკვირვება). არ ზრუნავენ სასწავლო კაბინეტის შევსებაზე, მის გამოყენებაზე, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ელემენტარულ საკითხების უცოდინარობას ამჟღავნებს, ასე, მაგალითად, ბარის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებს (მასწ. ქ. ბექაშვილი) წარმოდგენა არ აქვთ, ვაზის აგებულებასა და ბიოლოგიურ თავისებურებებზე, ვაზის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობებზე და მოვლის ძირითად აგროტექნიკურ წესებზე. მოსწავლეები აღნიშნავენ: „ვაზი ცივ მხარეს არ იკვებება, როდესაც გაზაფხული დადგება მას დათესვენ სანერგეში და გაზაფხულზე გადარგავენ, ყურძნის მცენარეს აქვს ქერქით დაფარული შეუჩნეველი ყვავილი“ და სხვ. მასწავლებელი ქ. ბექაშვილი ასეთი პასუხებით კმაყოფილდება. მოსწავლეებმა არ იციან ბოსტნის მცენარეები, მათი გამრავლება, გამოყენება და სხვ. ასევე დაბალია კუროორტ ტებერდის რუსული საშუალო სკოლის IV-ა კლასის მოსწავლეების ცოდნა (მასწ. ვ. მეჟოვა). მასწავლებელმა მოუმზადებლად ჩაატარა სადემონსტრაციო ცდა წყლის აორთქლებაზე, მთელი გაკვეთილი მოანდომა კოლბით წყლის ადუ-

ლებას, რადგან ცდა გაჭიანურდა მასწავლებელმა გამოიძახა ერთი მოსწავლე და სახელმძღვანელოდან ყოველგვარი განმარტების გარეშე წააკითხა ტექსტი „თვითმფრინავით, ღრუბლების ზემოთ“.

ასევე მოუმზადებელი იყო გაკვეთილისათვის მასწავლებელი ე. მეჟოვა V კლასში ბოტანიკაში. ცდამ, რომლის გაკეთებაც განიზრახა მასწავლებელმა, შედეგი ვერ გამოიღო.

ზოგი სკოლის მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია ისტორიაში: მაგ. ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა (მასწ. კუზმენკო). მათ არ შეუძლიათ ისტორიული მოვლენების დალაგებით გადმოცემა, ვერ ერკვევიან ისტორიულ ტერმინებში: „ფარაონი“, „იეროგლიფი“ და სხვა. მოსწავლეთა უმრავლესობამ ვერ აღწერა ძველი ეგვიპტის ბუნება, არ იციან თუ როგორ მოხდა ნომების გაერთიანება, არ აქვთ ნათელი წარმოდგენა ძველი ეგვიპტელების რელიგიაზე, ფარაონის დესპოტურ ხელისუფლებაზე და სხვა. ცოდნის ასევე დაბალ დონეს ამჟღავნებენ სოფ. მადნისხევის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები (მასწ. ჯოხაძე), მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეკონომიურ და ტექნიკურ წინამძღვრებზე, ვერ აღწერენ მაგელანის პირველ მოგზაურობას დედამიწის გარშემო. სუსტად ერკვევიან ევროპის კოლონიური პოლიტიკის დასაწყისში, გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეკონომიურ შედეგებში.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ისტორიაში კურორტ ტებერდის რუსულ საშუალო სკოლაში. საგანს ასწავლის სკოლის დირექტორი ი. ჩიქოვანი, რომელიც მას სუსტად ფლობს. გაკვეთილისათვის არ ემზადება. მე-7 კლასის მოსწავლეებმა აბსოლუტურად არაფერი იციან გავლილი მასალიდან, მათ ვერ შესძლეს ვერც ერთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა. მასწავლებელი ჩიქოვანი სუსტად ფლობს რუსულ ენას.

აღნიშნული სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებს—(მასწ. გასპოვა, იგივე სასწავლო ნაწილის გამგე) წარმოდგენა არ აქვთ ეტრუსკების კულტურაზე. არ იციან რომელი ტომები ცხოვრობდნენ აპენინის ნახევარ კუნძულზე. არ აქვთ ნათელი წარმოდგენა პლებეებისა და პატრიციების ბრძოლაზე, რომაელთა რელიგიაზე და სხვა. ასევე სუსტად იციან შესწავლილი მასალა ამავე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა.

უცხო ენის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მზისის რვაწლიან სკოლაში. გერმანული ენის მასწავლებელი ზოია

გავაშელი სუსტად მუშაობს. მოსწავლეებმა იციან კითხვის წესები, მაგრამ ძალზე სუსტად კითხულობენ მაგ. decke დესკე; Freunde ფრეუნდე და ა. შ. რაც მოწმობს იმას, რომ ადგილი აქვს ფორმალიზმს გერმანული ენის სწავლებაში. VIII კლ. მოსწავლეებმა არ იციან Präsens-ი და Ymrerfekt-ი, არც მასწავლებელმა და არც მოსწავლეებმა არ იციან გერმანულად სიტყვა „ქართველი", „საქართველო", მასწავლებელმა ცუდად იცის ქართული ენა, გრამატიკის წესებსა და უცნობ სიტყვებს დამახინჯებული რუსულით უხსნის. ამ მასწავლებელს არც წლიური კალენდარული გეგმა აქვს შედგენილი წესიერად, საკითხავ ტექსტს არა აქვს მიწერილი გრამატიკული მასალა.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რაიონის სკოლების ხელმძღვანელთა უყურადღებობას. სასწავლო წლის დასაწყისიდან შემოწმების დღემდე ქ. ქლუხორის რუსულ საშუალო სკოლიდან უკვე განთესილია 6 მოსწავლე, კუროორტ ტებერდის საშუალო სკოლიდან 7 მოსწავლე, ქლუხორის ქართულ საშუალო სკოლიდან 4 მოსწავლე, ბარის რვაწლიან სკოლიდან გასულ 7 მოსწავლეზე სკოლას არავითარი საბუთი არ მოეპოვება.

მოსწავლეთა სკოლიდან განთესვას ისიც უწყობს ხელს, რომ სკოლებში ზუსტად არ აღრიცხავენ მოსწავლეთა გამოცხადებას და ნაკლებად იბრძვიან მოსწავლეთა სკოლაში დაგვიანებისა და გაკვეთილების გამოტოვების წინააღმდეგ (მზისის რვაწლიანი სკოლა). შენიშნულია საკლასო ჟურნალის უსუფთაოდ წარმოების ფაქტებიც (ბარის რვაწლიანი სკოლა, კუროორტ ტებერდის საშუალო სკოლა).

მნიშვნელოვანი ნაკლით ხასიათდება ზოგიერთი სკოლის პედსაბჭოს მუშაობა. ნაკლებად ისმება პედსაბჭოს სხდომაზე განსახილველად წმინდა პედაგოგიური სასწავლო-საალმზრდელო ხასიათის საკითხები. კუროორტ ტებერდის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისიდან მხოლოდ ერთხელ ჩატარდა პედსაბჭოს სხდომა.

ჯერ კიდევ არ არის რაიონის სკოლებში გაშლილი მეთოდური მუშაობა. იქ, სადაც ჩამოყალიბებულია საგნობრივი საკლასო მეთოდკომისიები მხოლოდ გეგმის შედგენით დაკმაყოფილებულან (ტებერდის, ქლუხორის ქართული საშუალო სკოლა). მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. თითქმის ყველა საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს არა აქვთ რვა კლასის დამთავრების მოწმობები და ცნობები დაბადების შესახებ. პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეებს არა აქვთ წარმოდგენილი სავალდებულო ცნობე-

ბი, მათ შორის არც მეტრიკული ამონაწერი, პირად საქმეში არ არის შეტანილი პედაგოგიური დახასიათება. ზოგჯერ არ არის პირად საქმეში აგრეთვე შეტანილი მოსწავლის აკადემიური წარმატების ნიშნები და ზოგან ნიშნების ამოფხეკისა და გადასწორების შემთხვევებს აქვს ადგილი (ბარის რვაწლიანი, ზემომადნისხევის დ/სკოლა).

სკოლის გაკვეთილების ცხრილში ძნელად ასათვისებელი საგნები მოქცეულია მე-5—6 გაკვეთილებად, ყოველთვის არ არის დაცული ინტერვალი კვირეული 2-3 საათიან საგანში და სხვა. ასე, მაგალითად, კუროორტ ტებერდის რუსულ საშუალო სკოლის გაკვეთილების ცხრილში (დირ. ი. ჩიქოვანი) IX—X და სხვა კლასებში ქართული ენა ყოველთვის მე-5—6 საათებშია გათვალისწინებული, როდესაც ხატვისა და ფიზკულტურის საათები პირველი გაკვეთილიდან იწყება.

კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ტრაფარეტული ხასიათისაა. ხშირ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული კლასის სპეციფიური ინტერესები და ზოგიერთ I კლასის და XI კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი დაუდევრად, ენობრივი ხასიათის შეცდომებით ადგენს თავის სამუშაო გეგმას (ბარის რვაწლიანი სკოლის III კლასის ხელმძღვანელი ნადიბაიძე, VI კლ. ხელმძღვ. ს. დარახველიძე) და სკოლის დირექტორებიც არ ერიდებიან ასეთი გეგმის დამტკიცებას.

ღარიბია საბავშვო და მხატვრული ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკები, არსებული მცირე წიგნადი ფონდიც რაციონალურად არ არის გამოყენებული. დაბალ დონეზეა მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია, მაგალითად, მზისის რვაწლიანი სკოლის ბიბლიოთეკიდან, რომელშიაც 196 სახელწოდების 265 წიგნია 1/IX—27/IX-მდე წიგნით მხოლოდ 5 მოსწავლემ ისარგებლა. ბარის რვაწლიანი სკოლის ბიბლიოთეკიდან, სადაც 378 წიგნია სასწავლო წლის დასაწყისიდან შემოწმების დღემდე მხოლოდ 2 წიგნი იყო გაცემული და სხვა.

სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არასაკმაოდ ანხორციელებენ მასწავლებლებზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეს. კუროორტ ტებერდის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ჩიქოვანს და სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. გასკოვას შემოწმების დღისათვის არც ერთი გაკვეთილი არ ჰქონდა მოსმენილი. მზისის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ლობჟანიძეს მხოლოდ

5 გაკვეთილი ჰქონდა მოსმენილი, სასწავლო ნაწილის გამგეს ხიდაშელს გაკვეთილები უფრო მეტი რაოდენობით მოუსმენია, მაგრამ გაკვეთილის ანალიზში მოცემულია მხოლოდ ფაქტიური სურათი გაკვეთილის ჩატარებისა, არ არის მხილებული მასწავლებლის შეცდომები და არაფერია მითითებული შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მცირე რაოდენობით არის აგრეთვე მოსმენილი გაკვეთილები ქლუხორის ქართულ და რუსულ საშუალო სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ. ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში საპროგრამო მასალის საფუძვლიანად გავლას, გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებლებზე, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებზე და მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი განიხილონ პედსაბჭოს სხდომებზე და მასწავლებელთა თათბირებზე. პედაგოგიურ საბჭოს მუშაობისა და სკოლაში მეთოდური მუშაობის უკეთგაშლისათვის იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს დებულებებით „პედაგოგიურ საბჭოს მუშაობისა“ და „სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ“.

ბ) საგნის მასწავლებლებთან ერთად იზრუნონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობისა და შევსებისათვის, კაბინეტები მოამარაგონ დგამ-ავეჯით და შეუქმნან სკოლას სათანადო პირობები სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად. მტკიცე კონტროლი დააწესონ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტის მოწყობილობის მოვლა-დაცვაზე. სკოლებისათვის გამოყონ საცდელი მიწის ნაკვეთი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლებმა შეადგინონ მიწის ნაკვეთზე მუშაობის გეგმა და თვალყური ადევნონ ამ გეგმის შესრულებას და მიწის ნაკვეთის მიზნობრივად გამოყენებას.

გ) გადასინჯონ კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები და უზრუნველყონ მათი გადამუშავება იმგვარად, რომ იგი წარმოადგენდეს დოკუმენტს, რომელიც ნამდვილად დაეხმარება კლასის ხელმძღვანელს მოსწავლეთა შორის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ორგანიზაციაში.

დ) კლასის ხელმძღვანელებთან ერთად ა/წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველჰყონ მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება, ყველა

მოსწავლის მიერ პირადი საქმისათვის საჭირო ცნობების წარმოდგენა.

ვ) უზრუნველჰყონ გაკვეთილების ცხრილში საჭირო ცვლილებების შეტანა.

ზ) ქლუხორის ქართულ და რუსულ და ბარის რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა 15 ოქტომბრამდე უზრუნველჰყონ სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა იმავე კლასებში დაბრუნება და აწარმოონ სკოლიდან გასულ და სკოლაში ახლად ჩარიცხულ მოსწავლეთა ზუსტი აღრიცხვა დადგენილი ფორმით.

2. ცალკე სასწავლო საგნის მასწავლებლებმა:

ა) მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ენის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ ლიტერატურულ მასალას და მართლწერის საკითხებს, უფრო ღრმად აწარმოონ ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა და მისი ანალიზი, ჯეროვანი ყურადღებით მოეკვნენ, როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების მაღალი კულტურისათვის ბრძოლას.

დაწყებითი კლასების დედაენის მასწავლებლებმა გადაჭრით გააუმჯობესონ სუფთა წერის სწავლების საქმე, რისთვისაც იხელმძღვანელონ სუფთა წერის პროგრამაში მოცემული განმარტებით და „ქართული წერის დედანით“.

გადასინჯონ და შეავსონ საგნის წლიური კალენდარული გეგმები 1950 წლის პროგრამის შესაბამისად.

ბ) მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის მასწავლებლებმა დაიცვან წერითი მუშაობის ნორმები, სახეები და გასწორების წესი, საამისოდ ზუსტად იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს მითითებებით „წერითი მუშაობის ნორმების, სახეებისა და გასწორების შესახებ“.

გ) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა საგნის სწავლების პროცესში უზრუნველჰყონ პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება. მჭიდროდ დაუკავშირონ საგნის სწავლება ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს და შესაფერისი თემების სწავლება შეუფარდონ რაიონის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებს. საფუძვლიანად შეისწავლონ და ზუსტად იხელმძღვანელონ მუშაობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით და მითითებებით ფიზიკისა, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (1947 წ. ბრძანება № 476, № 505 „ბრძანებათა

და განკარგულებათა კრებული № 4, 1948 წ. ბრძანება № 3330, № 3331—„ბრძ. და განკარგ. კრებული“ № 1, 1948 წ. და სხვ.).

ფართოდ გაშალონ სკოლაში მოსწავლეთა ტექნიკური წრეებისა და ნორჩ მიჩურინელთა წრეების მუშაობა. ფიზიკასა და ქიმიაში სათანადო თემების შესწავლასთან დაკავშირებით სისტემატურად აწარმოონ ამოცანების ამოხსნა გაკვეთილზე და ჩაატარონ საკონტროლო წერები დაწესებული ნორმების მიხედვით. ფიზიკაში დანერგონ ხელსაწყოების თვითკეთების საქმე.

3. სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის, იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველჰყო სკოლაში მასწავლებელთა კოლეგიალური მუშაობა და სწავლების მაღალი ხარისხი, მოიხსნას სამუშაოდან ტებერდის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ი. ჩიქოვანი და მასვე ჩამოერთვას ისტორიისა და ქართული ენის გაკვეთილები. დირექტორის მოვალეობის დროებით აღსრულება დაევალოს ამავე სკოლის მასწავლებელს ა. მოროზოვას.

4. მოიხსნას სამუშაოდან ამავე სკოლის ქართული ენის მასწავლებელი მ. მოსაშვილი საგნის უცოდინარობისა, გაკვეთილებისათვის მოუმზადებლობისა და მოსწავლეთა სუსტი მომზადებისათვის.

5. ტებერდის რუსული საშუალო სკოლის სასწავლო-ნაწილის გამგე ვ. გასკოვა სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ჩაშლისათვის და პედაგოგიურ კოლექტივში არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის მოიხსნას სამუშაოდან. მასვე ჩამოერთვას ისტორიის გაკვეთილები საგნის უცოდინარობისა და მოსწავლეთა მოუმზადებლობისა გამო.

6. გამოეცხადოს საყვედური:

ტებერდის რუსული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ პ. ავერინს და მზისის რვაწლიანი სკოლის ამავე საგნის მასწავლებელ დ. გავაშელს გაკვეთილების, წერითი სამუშაოების უხარისხოდ ჩატარებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის, ამავე სკოლის ქართული ენის მასწავლებელ კ. ლილუაშვილს გაკვეთილებისათვის სუსტი მზადებისა, მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების უხარისხოდ ვასწოებისა და საგნის სწავლებაში დაბალი მაჩვენებლებისა გამო.

7. ტებერდის ქართულ საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებელ ნ. ჩაგელიშვილს და III კლასის მასწავლებელ ე. შათირიშვილს, როგორც საქმის არმცოდნეებს ჩამოერთვათ რუსული ენის გაკვეთილები და გადაეცეს ის უფრო კვალიფიციურ მასწავლებელს. ბარის საშუალო სკოლის მასწავლებელ ქ. ქებაშვილს ჩამოერთვას ქიმიისა

და ბიოლოგიის გაკვეთილები, როგორც საგნის არასპეციალისტს. ჩამოერთვას გერმანული ენის გაკვეთილები სოფ. მზისის 8-წლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს ზ. გავაშელს.

8 ქლუხორის კუროორტ ტებერდის რუსული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს ბრისნევას და გურიანოვას, ქლუხორის რუსული საშუალო და მადნისხევის რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებლებს ნ. კუზმენკოს და ნ. ჯანაძეს, ტებერდის ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელ ე. შათირიშვილს მიეთითოს სუსტი მუშაობისათვის. დაევალოს მათ გულდასმით ემზადონ გაკვეთილებისათვის, გარდაქმნან მუშაობა და უზრუნველჰყონ თავიანთი საქმის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

9. დაევალოს განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას უმოკლეს ვადაში შეარჩიოს და გაგზავნოს შესაფერისი კანდიდატი ტებერდის რუსული საშუალო სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობაზე. მასვე დაევალოს უახლოეს ვადაში დანიშნოს ქლუხორის რაიგანათლების გახყოფილებაში ინსპექტორი.

10. მატერიალური ფონდების განყოფილებამ უზრუნველჰყოს ქლუხორის რაიონის სკოლებისათვის ქართული წერისათვის სპეციალური დახაზულობის რვეულებისა და სახელმძღვანელო წიგნების დამატებით გაგზავნა.

11. დაფინანსებულ იქნას 1951 წლის ბიუჯეტით და დაისვას საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე ქლუხორის რაიონში მეთოდკაბინეტის გახსნის შესახებ.

12. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ევტ. გობეჯიშვილს:

ა) უზრუნველჰყოს აღნიშნული ბრძანების განხილვა რაიონის სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე და სათანადო ღონისძიებათა დასახვა არსებული ნაკლის გამოსასწორებლად.

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის მეორე მეოთხედის ბოლოს მოახსენოს განათლების საძინისტროს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3981

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 18 ოქტომბერი

1949/50 სასწავლო წელს დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი, სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

გავეცანი რა კლასიდან კლასში გადასაყვანი, სიმწიფის ატესტატზე ჩასატარებელი და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1949/50 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-საალმრზდელო მუშაობის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული; განმტკიცდა მოსწავლეთა ცოდნა და ამაღლდა მათი წიგნიერება, საგრძნობლად შემცირდა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი. იმ სკოლებმა და მასწავლებლებმა, რომლებმაც სასწავლო წლის დასაწყისიდანვე გაშალეს მუშაობა გაკვეთილის მაღალი ხარისხისათვის და გაზრდილი მოთხოვნილება წაუყენეს მოსწავლეებს, წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის (დირ. თ. მათიაშვილი) პირველ სამ კლასში არ იყო არც ერთი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე და ყველა გადავიდა შემდეგ კლასში. სკოლის 1052 მოსწავლიდან შემდეგ კლასში გადავიდა, ან დაამთავრა კურსი 979 მოსწავლემ (93%). ასევე მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო გამოცდებს და წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი ქ. თბილისის (V—VI ქალთა, I—III—IV ვაჟთა), ქუთაისის (I ვაჟთა, II—X ქალთა), ფოთის (I ქალთა), ბათუმის (I ვაჟთა, II—IV ქალთა) და სხვა საშუალო სკოლებმა. ქ. სოხუმის II ვაჟთა საშუალო სკოლის (დირ. ჯანჯღავა) 1130 მოსწავლიდან სხვადასხვა კლასებში მეორე წელს დატოვებულია მხოლოდ 10 მოსწავლე. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს აგრეთვე სასწავლო წელი მახარა-

ძის ვაჟთა, ზუგდიდის ქალთა I, თელავის, ხაშურისა და სხვა რაიონის საშუალო სკოლებმა.

რესპუბლიკის სკოლების XI კლასის 11.890 მოსწავლიდან გამოცდაზე დაშვებული არ იყო მხოლოდ 254 მოსწავლე (2,1%), რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 2%-ით ნაკლებს შეადგენს. გამოცდაზე დაშვებულ მოსწავლეთაგან სიმწიფის ატესტატი გაზაფხულზევე მიიღო 10529 მოსწავლემ (90,5%). რესპუბლიკის სკოლებიდან პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით ოქროსა და ვერცხლის მედლით დასაჯილდოებლად განათლების სამინისტროში წარმოდგენილი იყო მედალოსნობის 1186 კანდიდატი, რომელთაგან ოქროსა და ვერცხლის მედალი მიენიჭა 1016 მოსწავლეს (85,7%). გასულ წლებთან შედარებით რიგ სკოლების მიერ კარგად იყო შერჩეული მედალოსნობის კანდიდატები; მათი წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, სავსებით აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ასე, მაგალითად, თელავის რაიონის (განათ. განყ. გამგე გ. ნადაშვილი) მიერ წარმოდგენილ მედლის 27 კანდიდატიდან ოქროს მედალი მიენიჭა 13 მოსწავლეს, ვერცხლისა—12 მოსწავლეს. ქ. სოხუმის ვაჟთა III და IV საშუალო სკოლებიდან (დირ. ელ. ფირცხელაშვილი, გ. ანჯაფარიძე) წარმოდგენილ მედალოსნობის 12 კანდიდატიდან მედალი მიენიჭა ყველას. ქ. თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლიდან (დირ. თ. მათიაშვილი) წარმოდგენილ 17 კანდიდატიდან მედალი მიენიჭა ყველას, ქ. თბილისის ქალთა V და VI საშუალო სკოლებიდან (დირ. ა. მახარაძე, თ. ჩიჩუა) წარმოდგენილ მედალოსნობის 27 კანდიდატიდან დამტკიცდა ყველა (19 ოქროსი და 8 ვერცხლისა), ქ. თბილისის ვაჟთა VI და VII საშუალო სკოლებიდან (დირ. იპ. სურგულაძე, პ. ქაჯაია) წარმოდგენილ მედალოსნობის 32 კანდიდატიდან ყველას მიენიჭა მედალი და სხვ.

1950 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი წარმატებით აბარებდა მისაღებ გამოცდებს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. მარტო მოსკოვის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდა ჩააბარა 93 ქართველმა ახალგაზრდამ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და 7 სხვა უმაღლეს სასწავლებელში 1950 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან გამოცდას აბარებდა 3910 აბიტურიენტი, რომელთაგანაც სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩაირიცხა 1373, დანარჩენთა

დიდმა უმრავლესობამ გამოცდა დაიჭირა ყველა საგანში, მაგრამ კონკურსის გამო ვერ ჩაირიცხა.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა უმრავლესობამ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნა გამოამჟღავნა. მათი წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მაღალ წიგნიერად იყო შესრულებული, ზეპირ პასუხებში ირკვეოდა საპროგრამო მასალის ღრმა ცოდნა და მეტ-ყველების მაღალი კულტურა. გასულ წლებთან შედარებით კარგი მომზადებით წარსდგნენ საშუალო სკოლის ახლადკურსდამთავრებულნი რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკისა და სხვა საგნების გამოცდებზე. ასე, მაგალითად, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინერო, კიროვის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ, უცხო ენათა და პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში მისაღებ გამოცდებზე მრავლად იყვნენ მოსწავლეები, რომლებმაც ყველა საგანში მაღალი შეფასება მიიღეს. ქ. თბილისის ვაჟთა III, VII, XIV, XV; ქალთა I, II, III, XII, XIX, XXIII, ქ. სოხუმის ვაჟთა I, ქ. ბათუმის ქალთა I, თელავის ქალთა I, ფოთის ქალთა I, III, გორის ქალთა III, ზესტაფონის ფეროს, თერჯოლის რაიონის ზემოსიმონეთის, ორჯონიკიძის რაიონის მოლითის, მახარაძის რაიონის შემოქმედის, სიღნაღის ვაჟთა და სხვა საშუალო სკოლებიდან.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალთა პირველ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან (დირ. თ. დარახველიძე) 21 წარსდგა გამოცდაზე, ყველამ ჩააბარა და მათგან კონკურსით 14 ჩაირიცხა სხვადასხვა ფაკულტეტზე. ყველა საგამოცდო საგანში ნიშანი „5“ მიიღო თბილისის ქალთა I საშუალო სკოლის მოსწავლე ტ. ყიასაშვილმა, ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ქანანოვმა, ქალთა მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ყურაშვილმა, ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ძიმისტარაშვილმა, თელავის ქალთა I საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. თემშარაშვილმა, ქ. ფოთის ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. კრიხელმა. ასევე წარმატებით ჩააბარეს გამოცდები ქ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გ. ვაჩნაძემ და რ. ბოლოსოვმა, მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის მოსწავლე

ბ. მამასახლისმა, ორჯონიკიძის რაიონის მოლითის საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. ტალახაძემ და სხვა.

მიუხედავად არსებული მიღწევებისა, კლასიდან კლასში გადასაყვანი, სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები ნათელყოფს იმასაც, რომ ჩვენი სკოლების მუშაობას ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენილობას და მეორეწლიანობას. სასწავლო წლის დასასრულისათვის რესპუბლიკის სკოლებში ირიცხებოდა 675.334 მოსწავლე, რომელთაგან განმეორებით კურსის გასავლელად იმავე კლასებში დატოვებული იქნა 89242 მოსწავლე (13,2%), ხოლო შემდეგ კლასში გადაყვანის საკითხი შემოდგომისათვის გადაედო 88.068 მოსწავლეს (13%). აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად დიდია პირველ სამ კლასში, სადაც 313.222 მოსწავლიდან იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 39.144 მოსწავლე (12,5%) და საზაფხულო დავალება მიეცა 23.620 მოსწავლეს (7,5%).

საშემოდგომო გამოცდა მიეცა XI კლასის მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილსაც. ასე, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში—248 მოსწავლეს, მათგან ლაგოდეხის, ტყიბულის, კაჭრეთის, გეგეჭკორის, გორის რაიონის სკოლების XI კლასებიდან—50 მოსწავლეს; რუსულ ენასა და ლიტერატურაში გორის, ბოლნისის და გურჯაანის რაიონის სკოლების—30 მოსწავლეს; მათემატიკაში თერჯოლის, გორისა და ლაგოდეხის რაიონის სკოლების—45 მოსწავლეს; ფიზიკასა და ქიმიაში, გორის, სამტრედიის, ლაგოდეხის, ბოლნისის რაიონების—33 მოსწავლეს და სხვ. გორის რაიონის სკოლების XI კლასის 166 მოსწავლიდან საგაზაფხულო გამოცდების შედეგად ატესტატი მხოლოდ 109 მოსწავლემ მიიღო.

ცალკე სასწავლო საგნებში მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე გამომჟღავნდა მედალოსნობის კანდიდატთა წერითი ნამუშევრების რეცენზირების შედეგად. ამბროლაურის რაიონის (განათ. განყ. გამგე ვ. მაჭავარიანი) ლიხეთის, ხოტევისა და ზნაკვის საშუალო სკოლებიდან წარმოდგენილ 5 კანდიდატიდან მხოლოდ ერთმა მიიღო ვერცხლის მედალი. მარნეულის რაიონის საშუალო სკოლებიდან წარმოდგენილ 3 კანდიდატიდან ყველას ეთქვა უარი. ტყიბულის II საშუალო სკოლის მედალოსნობის ზოგიერთ კანდიდატთა წერითი ნამუშევრები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და

მათემატიკაში რეცენზენტების მიერ შეფასდა „3“-ზე (მასწ. პ. კუბლაშვილი, შ. ფოჩხიძე), დიღომის საშუალო სკოლის მიერ წარმოდგენილ მედალოსნობის 3 კანდიდატიდან არც ერთს არ მიენიჭა მედალი, ხოლო წერითი ნამუშევრების ნაწილი რუსულ ენასა და ლიტერატურაში შეფასდა „3“-ზე (მასწ. ცინცაძე), ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო სკოლის მედალოსნობის სამივე კანდიდატს უარი ეთქვა, მათი წერითი ნამუშევარი რუსულ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლის მიერ შეფასებული „5“-ზე, შეფასდა „3“-ზე (მასწ. ლ. კობერიძე), ასევე დაბალი შეფასება მიეცა ონის რაიონის ღების საშუალო სკოლის მედალოსნობის კანდიდატთა წერითი ნამუშევრებს რუსულ ენასა და მათემატიკაში (მასწ. მ. კერესელიძე, ბ. გავაშელი) და ქვემოსვანეთის ჩოლურის, ჟახუნდრის და ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლების კანდიდატების წერით ნამუშევრებს მათემატიკაში (მასწ. ვ. კიკვაძე, დ. ონიანი, ნ. ბობოხიძე). ახალციხის რაიონის აწყურის საშუალო სკოლის მიერ წარმოდგენილ მედალოსნობის 3 კანდიდატიდან უარი ეთქვა ყველას (დირ. ვ. ჭირაქაძე), ხოლო ზუგდიდის რაიონის ანაკლიის, კორცხელის, ჯიხასკარის, ჩხორიის, დარჩელისა და ორსანტიის საშუალო სკოლებიდან წარმოდგენილ მედალოსნობის 10 კანდიტატიდან მედალი მხოლოდ ერთმა მიიღო, კანდიდატთა წერითი ნამუშევრების დიდი ნაწილი შეფასდა ნიშნით „3“.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდებზე მოუმზადებლად გამოცხადდნენ ზუგდიდის რაიონის დარჩელის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. ვ. ქანთარია) და ზუგდიდის ქალთა I საშუალო სკოლის VI კლასის (მასწ. ქირია) მოსწავლეები; მათ არამტკიცედ იცოდნენ გავლილი მასალა და რიგ ქართულ სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობის უცოდინარობას ამჟღავნებდნენ (სიტყვები: შარბათში, ვეკვრეტ, უძრახე, საკანი, ამაოდ, ნაპრალი, ხარბი, კაეშანი, პიტალო და სხვ.), ზუგდიდის II რუსულ საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა საგამოცდო წერა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სუსტად შეასრულეს (მასწ. კ. შენგელია), ამავე რაიონის კახათის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების დიდი ნაწილი ერთნაირი იყო, რაც მათ დაბალ მომზადებაზე მეტყველებს (მასწ. ტ. ბოკუჩავა). თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს (მასწ. თ. გრემაღლაშვილი) უჭირდათ მასალის თანმიმდევრულად თხრობა და ნაწარმოების ანალიზი.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. გოგიჩაიშვილი), ზუგდიდის რაიონის კახათის საშუალო სკოლის V კლასის (მასწ. მ. კაკულია), დარჩელის საშუალო სკოლის V კლასის (მასწ. ი. ქირია) მოსწავლეებმა, რომელთაც მექანიკურად ჰქონდათ დაზეპირებული გრამატიკული წესები და არ შეეძლოთ გავლილ მასალის დამოუკიდებლად და შეგნებულად თხრობა. მედალოსნობის კანდიდატთა წერითი ნამუშევრები რუსულ ენასა და ლიტერატურაში სუსტად შესრულებული და უხარისხოდ გასწორებული წარმოადგინეს განათლების სამინისტროში ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის (მასწ. ლ. კობერიძე), ტყიბულის რაიონის ხრესილის (მასწ. ე. როინიშვილი), ონის რაიონის ღების (მასწ. მ. კერესელიძე), დუშეთის რაიონის მლეთის (მასწ. ა. მალანია), ცაგერის რაიონის ცხუკუშერის (მასწ. ტ. ყურაშვილი და ს. სვანიძე), წალენჯიხის რაიონის ჯგალის (მასწ. ბ. ქვარაცხელია), დიღომის (მასწ. გ. ცინცაძე), საჩხერის რაიონის კორბოულის (მასწ. გ. კაპანაძე) და სხვა საშუალო სკოლებიდან.

მათემატიკურ დისციპლინებში განსაკუთრებული ჩამორჩენილობა გამოამჟღავნეს წითელწყაროს საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა, რომლებმაც ვერ ამოხსნეს გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში საგამოცდო ამოცანა და მაგალითი და 15 მოსწავლიდან 12-მა მიიღო შეფასება „2“ (მასწ. ქ. ჩუთლაშვილი). ცაგერის საშუალო სკოლის მედალოსნობის კანდიდატთა ნამუშევრები (მასწ. დ. შკუბულიანი) მათემატიკაში განათლების სამინისტროს კოლეგიამ „2“-ზე შეაფასა, ხოლო მთელი კლასის მოსწავლეთა ნამუშევრის ანალიზის შედეგად 10 მოსწავლეს საშემოდგომოდ გადაედო გამოცდა. ასევე დაბალი იყო მოსწავლეთა მომზადების დონე მათემატიკაში ბოლნისის რაიონის დარბაზის (მასწ. ე. აშიროვი), ბოლნისხაჩინის (მასწ. ბ. ბაგდასარიანი), ონის რაიონის ზვარეთის (მასწ. კიკაშვილი), წყალტუბოს (მასწ. გრ. ფანცხავა) და ზუგდიდის რაიონის ჩხორიის (მასწ. გ. ფიფია) საშუალო სკოლის XI კლასებში.

შესწავლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნით ხასიათდება ნაფარეულის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა პასუხები ისტორიაში (მასწ. შაქარაშვილი). სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეთა ნაწილი (მასწ. მათიაშვილი) გეოგრაფიაში ვერ ერკვეოდა მარტივ საკითხებშიც კი და ვერ ახერხებდა მასწავლებლის დახმარების გარეშე, დამოუკიდებ-

ლად პასუხების გაცემას, ბევრი მათგანი დაუფლებული არ იყო რუკის კითხვას და სხვ.

ქიმიის კურსის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ხაშურის რაიონის ალისა და ქარელის რაიონის მოხისის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ნ. მარტინენკო, ევგ. ფრანგულაშვილი), საგამოცდო ბილეთებში მოცემულ კითხვებზე იძლეოდნენ გაუაზრებელ პასუხებს, ვერ სწერდნენ ქიმიურ რეაქციათა ტოლობებს, არ იცოდნენ ატომის აგებულება, ელექტროლიტური დისოციაცია და სხვა. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა გამოცდაზე მიიღო შეფასება „2“. ზესტაფონის რაიონის როდინაულისა და საზანოს, კასპის რაიონის მეტეხისა და ლამისყანის საშუალო სკოლების XI და ზუგდიდის რაიონის ორსანტიის საშუალო სკოლის X კლასებში ქიმიასა და ფიზიკაში გამოცდები ყოველგვარი ცდებისა და ექსპერიმენტების გარეშე, ზეპირსიტყვიერად ტარდებოდა.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი წლის განმავლობაში ვერ მუშაობდა დამაკმაყოფილებლად, ვერ აძლევდა მოსწავლეებს ,,ალკე სასწავლო დისციპლინებში ღრმა ცოდნას და თავისი სუსტი მუშაობის კვალის დასაფარავად გამოცდების პერიოდში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში იჩენდა ლიბერალიზმს და, ზოგ შემთხვევაში, თვალისახვევასაც მიმართავდა. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და საგამოცდო კომისიის წევრი მხარს უჭერდა ამგვარ მოქმედებას, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშუალო სკოლის XI კლასში (ყოფილი დირ. ბ. კობალაძე) გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში საგამოცდო წერა გაუქმდა და ხელახლა იქნა ჩატარებული იმის გამო, რომ მასწავლებელმა ლ. რამიშვილმა მედალოსნობის ოთხი კანდიდატის მიერ გამოცდაზე შავად, უხარისხოდ შესრულებული ნამუშევარი სახლში გაასწორა და შემდეგ გადაათეთრებინა სკოლაში. ჩოხატაურის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში ამოცანისა და მაგალითის გამოყვანა გაუჭირდათ, საგამოცდო კომისიის წევრი, მასწავლებელი ჯიქია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რაიმე გზით „დახმარებოდა“ მოსწავლეებს, მაგრამ არ მიეცა რა ამის საშუალება, 5 მოსწავლემ სამუშაო შეასრულა „2“-ზე, ერთმა „4“-ზე, დანარჩენებმა „3“-ზე (მედლის კანდიდატად კი 8 მოსწავლე იყო მათ მიერ „გათვალისწინებული“). ზესტაფონის ვაჟთა II საშუალო სკოლის XI კლასში (დირ. ს. ფხაკაძე, მასწ. მაჩიტა-

ძე) რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერით გამოცდაზე მოსწავლეებს ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდათ ესარგებლათ სხვადასხვა წყაროებით, საგამოცდო კომისიის წევრები თავს იკავებდნენ შენიშვნებისაგან, ხოლო როდესაც განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა რაიონში აღკვეთა წიგნებითა და ჩანაწერებით სარგებლობა, მის მიერ ჩამორთმეულ ჩანაწერებს მაგიდიდან იღებდნენ კომისიის წევრები და ჩუმად კვლავ უბრუნებდნენ მოსწავლეებს. ქარელის რაიონის ბრეთის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ზ. ქელეხსაევამ XI კლასის ორი მოსწავლის ნამუშევარი თვითონ დაამთავრა, შეასწორა და შემდეგ გადაათეთრებინა მოსწავლეებს. ასეთსავე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ზუგდიდის რაიონის ჩხორიის საშუალო სკოლის XI კლასში გეომეტრია-ტრიგონომეტრიის (მასწ. გ. ფიფია) და სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის XI კლასში მშობლიურ ენასა და ლიტერატურის წერის დროს (მასწ. ავთ. ოზიაშვილი).

ყვარელის რაიონის ენისელის საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. ჯაჯანიძე), ქარელის რაიონის ალის საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. ვ. გაგლოევი) მოსწავლეთა უმრავლესობის წერითი ნამუშევარი რუსულ ენასა და ლიტერატურაში და ზუგდიდის რაიონის კორცხელის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეთა ნამუშევარი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. ნ. ლურსმანიშვილი) არ იყო დამოუკიდებლად შესრულებული, ზოგი მათგანი ერთმანეთის ასლს წარმოადგენდა, რაც აშკარად ადასტურებს გამოცდების დროს სათანადო კონტროლის უქონლობას მასწავლებლებისა და ასისტენტების მხრივ.

საგამოცდო კომისიის წევრების და ასისტენტების უკონტროლობაზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ზუგდიდის რაიონის ჭითაწყარის საშუალო სკოლის IX კლასში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. ნ. ჯოჯუა, ასისტენტი ნ. ხაბურზანია), VII კლასში ალგებრაში (მასწ. შ. სამულია, ასისტენტი მ. ქვარაია), ზუგდიდის ქალთა II საშუალო სკოლის XI კლასში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (კომისიის თავ-რე თ. ლურწკაია, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი მ. გეგენავა), ქ. სოხუმის ქალთა I საშუალო სკოლის XI კლასში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (კომისიის თავ-რე მიშველაძე), სტალინირის ვაჟთა II საშუალო სკოლის XI კლასში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (კომასიის თავ-რე ი. პარათტაევი) საგამოცდო წერა „თავისუფ-

ლად“ მიმდინარეობდა, მოსწავლენი სარგებლობდნენ წყაროებით და კომისიის წევრები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. მახარაძის რაიონის ნატანების საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა დ. ღლონტმა წინასწარ გააცნო საგამოცდო წერითი თემები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სკოლის დირექტორი იძულებული იყო წერა გადაედო. საგამოცდო თემების წინასწარ გაცნობის შემთხვევებს ჰქონდა აგრეთვე ადგილი ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლის X კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ვ. კანკავას, დარჩელის საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელ ვ. ქანთარიას და კორცხელის საშუალო სკოლის V კლასის რუსული ენის მასწავლებელ ა. კვარაცხელიას მიერ.

ლიბერალურად იყო შეფასებული და უხარისხოდ გასწორებული XI კლასის მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნისა და არაშფერანის საშუალო სკოლებში (მასწ. გრ. ნოზაძე, ვ. მაღლაკელიძე), გუდაუთის რაიონის კირმიშის რვაწლიანი სკოლის, ზუგდიდის რაიონის ორულის საშუალო სკოლის IV და ზუგდიდის ქალთა II საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეთა ნამუშევრები მშობლიურსა და რუსულ ენაში (მასწ. ბოჯგუა, რ. წოწონავა, ნ. ჩხეტიანი).

რიგ სკოლებში ადგილი ჰქონდა კლასიდან კლასში გადასაყვანი და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევას მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების, საგამოცდო ცხრილისა და დამატებითი ბილეთების შედგენისა და სხვათა საქმეშიც. ასე, მაგალითად, ახალქალაქის რაიონის კოთელიის საშუალო სკოლის XI კლასში (დირ. ვ. ბახტაძე) გამოცდაზე სამი მოსწავლე უკანონოდ იყო დაშვებული, ორ მათგანს 4—5 საგანში ჰქონდა წლიური შეფასება „2“, ხოლო ერთი (24 წლის ასაკისა) კლასში ყოველგვარი საბუთების გარეშე იყო ჩარიცხული. აღნიშნული მოსწავლეები მოხსნილი იქნენ გამოცდებიდან. ზუგდიდის რაიონის კორცხელის საშუალო სკოლის XI კლასის (დირ.მ. ლაგვილავა) 2 მოსწავლე წინა სასწავლო წლის ბოლოს ქართულ ენასა და ლიტერატურში, ფიზიკაში და ისტორიაში ჩამორჩენილობის გამო სკოლიდან გასული, გამოცდებზე დაუშვეს აღნიშნული საგნების წინასწარ ჩაუბარებლად. გამოცდებზე მოსწავლეთა არასწორად დაშვების შემთხვევებს ადგილი ქონდა აგრეთვე ლაგოდეხის რაიონის კაბლისა და ვარდისუბნის და ცხაკაიას ვაჟთა II საშუალო სკოლებში, ხოლო ყვარელის რაიონის გავაზისა და ჭიკაანის

საშუალო სკოლებში XI კლასის მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების შესახებ პედსაბჭოს ოქმებიც კი არ აღმოჩნდა.

ზუგდიდის მოზრდილთა საშუალო სკოლის (დირ. შ. სიორდია) XI კლასში სკოლის ასაკის სამი მოსწავლე (მედალოსნობის კანდიდატები) ისე იყო წლის დასაწყისში ჩარიცხული სხვა სკოლებიდან, რომ არც ერთი არ მსახურობდა. აღნიშნულ სკოლაში საგამოცდო ბილეთების ჩანიშვნის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

საგამოცდო ცხრილის უმართებულოდ შედგენის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ზუგდიდის რაიონის კორცხელის, ახალსოფლის, ორსანტიის, ჭითაწყარის საშუალო და ერგეტის რვაწლიან, ყვარელის რაიონის გავაზის, ახალ სოფლის და ჭიკაანის საშუალო სკოლებში ცხრილში არ იყო დაცული კალენდარული დღეების რაოდენობა და წერითი და ზეპირი გამოცდის თანამიმდევრობა. მნიშვნელოვანი ნაკლით ხასიათდებოდა აგრეთვე ხაშურის რაიონის სურამის ვაჟთა II საშუალო სკოლის გამოცდების ცხრილიც.

ზოგიერთი მასწავლებელი არასერიოზულად მოეკცა საგამოცდო დამატებითი ბილეთების შედგენის საქმეს. ყვარელის რაიონის ენისელის საშ. სკოლას (მასწ. ნ. ჯანელიძე) არ ჰქონდა შედგენილი დამატებითი ბილეთები, ძირითად ბილეთებში გამოტოვებული ჰქონდა მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც ლიტერატურულ, ისე გრამატიკული მასალიდან. არ ჰქონდა შედგენილი დამატებითი ბილეთები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გალის რაიონის ჭაბურხინის რვაწლიანი სკოლის VI კლ. მასწავლებელ ნ. ყოლბაიას, გურჯაანის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლენი მათემატიკაში წინასწარ იყვნენ გაცნობილნი დამატებით ბილეთებს (მასწ. რაქვიაშვილი, გამომცდელი მასწ. მესხაძე). ამავე რაიონის შრომის საშუალო სკოლის XI კლასში ქიმიაში გამოცდა დამატებით ბილეთების გარეშე ჩატარდა (მასწ. თ. ცაცაშვილი), ხოლო შაშიანის საშუალო სკოლის VIII კლასში ფიზიკაში დამატებითი ბილეთების ნაცვლად სახელმძღვანელოდან ადგილზე არჩევდნენ ამოცანებს და ისე სცდიდნენ მოსწავლეებს (მასწ. დიმელაშვილი). ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის VIII კლასის დამატებით ბილეთებში ფიზიკაში ამოცანების ნაცვლად შეტანილი იყო ადვილი სახის საკარჯიშოები და სხვა.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების წლიური ნიშნების ხელოვნურად აწევის შემთხვევასაც. მაგალითად, ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლის XI კლასის ჟურნალში ნიშნების ამოშლისა და „4“—„5“-ზე გადაკეთების მასობრივ

შემთხვევას ჰქონდა ადგილი. წლის განმავლობაში მარტო მედალოსნობის 6 კანდიდატის მიმდინარე შეფასების ნიშნების გადასწორების 62 შემთხვევა იყო (სკოლის ყოფილი დირ. გ. ჯვებენავა, კლასის ხელმძღვანელი ელ. ფორია). მედალოსნობით „დაინტერესებულნი“ ხელოვნურად სწევდნენ ამავე რაიონის დარჩელის საშუალო სკოლის XI კლ. მოსწავლის ნ. ჯ-სი და ცაიშის საშუალო სკოლის XI კლ. მოსწავლის ჯ. შ-ას და სხვათა ნიშნებს. ჭითაწყარის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე თ.-ს სასწ. წლის I მეოთხედში ალგებრასა, ტრიგონომეტრიასა, ქიმიასა და ასტრონომიაში რამდენიმეჯერ ჰქონდა მიღებული ნიშანი „2“, მაგრამ მეოთხედის საბოლოო ნიშნად აღნიშნულ საგნებში „3“ დაეწერა. სიღნაღის რაიონის ქვემო ბოდბის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ყ. კ-ს I და II მეოთხედში აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვით ყველა საგანში მიღებული ჰქონდა ნიშანი „2“, ხოლო საბოლოო ნიშნად II მეოთხედში ყველა საგანში „3“ ეწერა, რუსული ენის მასწავლებელ კიკაჩეიშვილს აღნიშნული მოსწავლე IV მეოთხედში ხუთჯერ ჰყავს გამოკითხული და ხუთჯერვა „2“ აქვს დაწერილი, მაგრამ მეოთხედის ნიშნად მასწავლებელს „3“ დაუწერია და ხსნიდა იმით, რომ „ახალი ინსტრუქცია მოსწავლეებს შეღავათებს ანიჭებს და მეც დავეხმარე, რომ გამოცდაზე დაშვებულიყო“-ო. ნიშნების ხელოვნურად გაზრდისა და გამოცდების დროს ზოგიერთ მოსწავლეთა განსაკუთრებული „მზრუნველობით“ შოცვას ჰქონდა ადგილი ხობის საშუალო სკოლის XI კლასშიც (დირ. ვ. ერემაძე), ორ მოსწავლეს, რომელთაც ქართულ ენასა და ლიტერატურის წერით ნამუშევრებში დაეწერათ „2“, ზეპირი გამოცდის წინ მასწავლებელმა ნიშანი „3“-ზე გადაუსწორა. გუდაუთის ქართულ საშუალო სკოლის XI კლ. მოსწავლე ი. ჭ-ს სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა საგნებში 45-ჯერ ჰქონდა მიღებული ნიშანი „2“, ხოლო მეოთხედებისა და წლიურ ნიშნებად ყველა საგანში—„5“. სკოლის პედსაბჭომ იგი იმდენად ჩვეულებრივად (დირ. თ. არქანია) მიიჩნია, რომ ვერცხლის მედლის კანდიდატადაც კი წარმოადგინა.

გამოცდების პერიოდში ზოგიერთმა მასწავლებელმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინა თავისი საქმისადმი, ასე, მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის აგუბედიის საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. სოსელიამ ზეპირი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში XI კლასში 9 საათიდან 3 საათისათვის გადადო; მანვე განათლების განყოფილების ნებართვის გარეშე სკოლა დატოვა სამი დღით. ზუგდიდის რაიონის ჯიხასკარის საშუალო სკოლის მათემატიკის

მასწავლებელმა მ. ხაბულავამ, სკოლის დირექტორთან უსიამოვნო დამოკიდებულების გამო, პირველ დღიდანვე დემონსტრატიულად დატოვა სკოლა და გამოცდები არ ჩაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებში უმოქმედობას იჩენდნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, ყვარელის რაიონში სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელ 7 საგამოცდო პუნქტიდან განათლების სამინისტროს წარმომადგენელი 30/V არ ესწრებოდა გამოცდებს 4 პუნქტში.

უპასუხისმგებლოდ არის შედგენილი ჩხოროწყუს რაიონის ჭოლის საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული გამოცდების ოქმი, რის გამო მათ მიერ 3 ატესტატი ზედმეტად იყო მიღებული. ოქმში საერთო ცნობებით ნაჩვენებია, თითქოს გამოცდა ჩააბარა 24 მოსწავლემ და საშუალო სკოლის კურსდამთავრების ატესტატი უნდა გაიცეს ყველაზე (ოქმზე ხელს აწერენ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კ. ჭეჟია, განათ. სამინისტროს წარმომადგენელი ნ. ჯანელიძე, საგამოცდო კომისიის წევრები მ. ფაცაცია, გ. ბენდელიანი, ნ. ლაგვილავა) მაშინ, როდესაც საშუალო სკოლის კურსი 21 მოსწავლემ დაამთავრა და საშემოდგომო გამოცდა მიეცა 3 მოსწავლეს.

ზოგიერთი სკოლისა და ცალკე საგნის მასწავლებელთა სუსტი მუშაობის შედეგია ისიც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებზე ჩაჭრილ საშუალო სკოლის ახლად კურსდამთავრებულთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ასე, მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ამხ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებში გამოცდას აბარებდა 2.013 აბიტურიენტი, რომელთაგან სხვადასხვა საგანში ჩაიჭრა 973 აბიტურიენტი. გამოცდაზე ჩაჭრილთა რაოდენობა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებით დიდია შემდეგი სკოლებიდან: ქ. თბილისის ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის (დირ. ს. ბიბილეიშვილი) 5 მოსწავლიდან ჩაიჭრა 4 მოსწავლე, ქალთა 27-ე საშუალო სკოლის (დირ. მ. მაღლაკელიძე), 8 მოსწავლიდან—7 მოსწავლე, 44-ე საშუალო სკოლის (დირ. ლ. შანიძე) 15 მოსწავლიდან—9 მოსწავლე, 26-ე საშუალო სკოლის (დირ. თ. მათათაშვილი) 8 მოსწავლიდან—5 მოსწავლე, ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის საშუალო სკოლის (დირ. მ. ბზეკალავა) 4 მოსწავლიდან ჩაიჭრა ოთხივე, სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლის (დირ. ა. კობახიძე) 4 მოსწავლიდან ჩაიჭრა ოთხივე. ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის (განათ. განყ. გამგე შ. ბერაძე) საშუალო სკოლების 14 მოსწავლიდან

ჩაიჭრა 10, ჩაირიცხა მხოლოდ 1, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საშუალო სკოლების (განათლების განყ. გამგე მ.გაგლოშვილი) 8 მოსწავლიდან—5 მოსწავლე, არ ჩაირიცხა არც ერთი. აბაშის რაიონის (განათ. განყ. გამგე კურცხალია) საშუალო სკოლების 20 მოსწავლიდან—16, ჩაირიცხა მხოლოდ 1, ამბროლაურის რაიონის (განყ. გამგე ვ. მაჭავარიანი) საშუალო სკოლების 20 მოსწავლიდან—13 მოსწავლე, ჩაირიცხა მხოლოდ 1, გურჯაანის რაიონის (განათ. განყოფილების ყოფ. გამგე ვ. ნასყიდაშვილი) საშუალო სკოლების 27 მოსწავლიდან—16 მოსწავლე, ჩაირიცხა მხოლოდ 2, ყაზბეგის რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ვ. ხახლიშვილი) საშუალო სკოლების 18 მოსწავლიდან—13 მოსწავლე, არ ჩაირიცხა არც ერთი, ლაგოდეხის რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ვ. ქებაძე) საშუალო სკოლების 14 მოსწავლიდან —10 მოსწავლე, არ ჩაირიცხა არც ერთი, მაიაკოვსკის რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ს. კოტორეიშვილი) საშუალო სკოლების 6 მოსწავლიდან ჩაიჭრა ექვსივე, საგარეჯოს რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ივ. ბედიაშვილი) საშუალო სკოლების 17 მოსწავლიდან ჩაიჭრა 11, ჩაირიცხა მხოლოდ 1, წალენჯიხის რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ვ. კაკაჩია) საშუალო სკოლების 5 მოსწავლიდან ჩაიჭრა ხუთივე, ჩხოროწყუს რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ნ. გობეჩია) საშუალო სკოლების 11 მოსწავლიდან—9 მოსწავლე, არ ჩარიცხულა არც ერთი. მცხეთის რაიონის (განათ. განყოფ. გამგე ვ. მაცაბერიძე) საშუალო სკოლების 29 მოსწავლიდან—22 მოსწავლე, არ ჩარიცხულა არც ერთი.

ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ზოგიერთი კურსდამთავრებულნი ფაქტიური მასალის უცოდინარობას, მეტყველების კულტურისა და წიგნიერების დაბალ დონეს იჩენდნენ, მაშინ, როდესაც მათ სკოლაში საგამოცდო კომისიების მიერ აღნიშნულ საგნებში მაღალი შეფასება აქვთ მიღებული. ასე, მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის ქალთა 44-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ლ. ო-მ ქართულ ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე მიიღო შეფასება „2“, სიმწიფის ატესტატში კი უწერია „4“ (მასწ. ე. კობიაშვილი), ასევე მუშა ახალგაზრდობის I საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ო. ც-მ (მასწ. ვ. ჯიჯეიშვილი), ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლე ს. ბ-მა (მასწ. თ. გვასალია) და თელავის რაიონის ვანთის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მ. ჭ-მ (მასწ. გ. უზანაშვილი, გ. აბულაძე). ასევე ნიშანი „2“ მიიღეს გამოცდაზე ბერიას

სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ატესტატში „4“ უწერია ქართულ ენასა და ლიტერატურაში ხობის რაიონის ძველი ხიბულის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ს. კუჭავა) კურსდამთავრებულებმა ნ. გ-მ და ჭ. გ-მ და სამედიცინო ინსტიტუტში ლენინგორის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ზ-მ და რ. ღ-მ (მასწ. თ. მონველიძე). რუსულ ენაში მომზადების დაბალი დონე გამოამჟღავნეს ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ქ. თბილისის ქალთა 44-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ქ. რ-მ (მასწ. ელ. ვასილევა), გეგეჭკორის რაიონის აბედათის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ნ. ჩ-მ (მასწ. ვ. ძიძიგური), ბანძის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა კ. ბ-მ (მასწ. ივლ. გაბელია), ასპინძის რაიონის ჭობარეთის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა შ. მ-მ (მასწ. ა. გავრიში), სიღნაღის რაიონის ქვემომაჩხაანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ა. ა-მა (მასწ. ა. კანდელაკი), ჩხოროწყუს რაიონის ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა კ. ა. ს-მ (მასწ. ს. პაპავა), ყაზბეგის რაიონის სიონის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ა. ფ-მა და ა. ბ-მა (მასწ. ნ. მალანია), უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში თბილისის ქალთა 45-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ნ. გ-ამ (მასწ. მ. სოხაძე), ამხ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასპინძის რაიონის ტოლოშის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა შ. გ-მ, ვ. გ-მ (უკანასკნელმა 52 სიტყვიან კარნახში 26 შეცდომა დაუშვა (მასწ. თ. მაღლაფერიძე), ონის ვაჟთა საშულო სკოლის კურსდამთავრებულმა გ. ქ-მ (მასწ. თ. ჯაფარიძე), სამედიცინო ინსტიტუტში ამბროლაურის რაიონის სინათლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა (მასწ. ვ. დოხნაძე) ზ. გ-მა (რომელსაც ატესტატში რუსულ ენაში უწერია ნიშანი „5“) გამოცდაზე მიიღო „2“, ასევე ზნაურის რაიონის ვახტანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ც. ძ-მა და ც. ი-მა (მასწ. ლ. კუვალდინი).

მათემატიკაში ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნა კიროვის სახელობის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ქ. თბილისის ვაჟთა 43-ე საშუალო სკოლის 4-მა კურსდამთავრებულმა (დირ. გრ. ბერაია, მასწ. ვ. ჭავჭავაძე), მე-17 საშუალო სკოლის 4-მა კურსდამთავრებულმა (სკოლის დირექტორი ს. ბიბილეიშვილი, მასწ. ოთ. ღალანიძე), ბორჯომის ვაჟთა საშუალო სკოლიდან 4-მა—მათ შორის რ. მ-ს და ა. ა-ს ატესტატში მათემატიკურ საგნებში „5“ და „4“ უწერია (მასწ.

ს. ოგანეზოვი, დირ. დ. ჭავჭანიძე), ცხაკაიას ვაჟთა საშუალო სკოლიდან ნ. კ-ამ და გ. ბ-ამ (უკანასკნელს ატესტატში „5“ უწერია, მასწ. მ. ჟვანია, დირ. ვლ. დავითაია), ფოთის ვაჟთა I საშუალო სკოლიდან 3-მა კურსდამთავრებულმა, რომელთა შორის თ. ბ-ს ატესტატში „5“ უწერია (მასწ. პ. ბარამიძე, დირ. ივ. ფაცაცია), ქუთაისის ვაჟთა II საშუალო სკოლიდან 3 კურსდამთავრებულმა (მასწ. გალ. კოსტავა, დირ. მ. კუჭუხიძე), ვაჟთა VIII სკოლიდან— 3 კურსდამთავრებულმა (მასწ. არ. ბარდაველიძე, დირ. ვალ. თუმანიშვილი), ორჯონიკიძის რაიონის ხარაგოულის საშუალო სკოლიდან—3 კურსდამთავრებულმა (მასწ. ნ. შარიქაძე, დირ. კ. ნიქაბაძე), ჩხარის საშუალო სკოლიდან 3 კურსდამთავრებულმა (მასწ. თ. შეყრილაძე, დირ. პ. ისაკაძე), წალენჯიხის საშუალო სკოლიდან 2-მა კურსდამთავრებულმა (მასწ. ი. კაკაჩია, დირ. აკ. შანავა).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში ჩაჭრილ კურსდამთავრებულთაგან თბილისის მოზრდილთა IV საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ნ. ჭ-ის (მასწ. გ. კუჭავა), გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ლ. ბ-ს (მასწ. დ. ბერიძე), სიღნაღის რაიონის ქვემო ბოდბის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ე. ვ-ს (მასწ. ნ. ყანდაშვილი), ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ნ. ჯ-ს (მასწ. დ. ფოცხვერია), კასპის რაიონის ქვემოჭალის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ნ. ხ-ს (მასწ. ი. მახათაძე), თეთრიწყაროს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ შ. ზ-ს (მასწ. სველიევი) სიმწიფის ატესტატში ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში უწერიათ ნიშანი „5“. ცაგერის რაიონის ალპანის საშუალო სკოლის ასეთივე მაღალი წარმატების მქონე კურსდამთავრებულმა ზ. ფ-მ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში მათემატიკაში მიიღო შეფასება „2“ (მასწ. ალ. ალავიძე).

სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ფიზიკასა და ქიმიაში სუსტი მომზადებით გამოცხადნენ და მიიღეს ნიშანი „2“; გალის საშუალო სკოლიდან ფიზიკაში ნიშანი „4“ მქონე კურსდამთავრებულმა ი. მ-მ, (მასწ. ფირცხალავა) ვერ განასხვავა ერთმანეთისაგან სიჩქარე და აჩქარება (მანვე „2“ მიიღო ქიმიაში—მასწ. ა. გეგეჭკორი), არ იცის რა არის კალორია, ვერ შეადგინა ელექტროწრედი და სხვ. გულრიფშის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა შეფასება „5“ მქონე გ. კ-მა (მასწ. კ. უბირია) ვერც ერთ დასმულ კითხვაზე ვერ გასცა პასუხი, ასევე ლენინგორის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ი. ხ-მა (მასწ. ა. მარგიევი),

ქიმიაში შეფასება „5“-ის მქონე სოხუმის ქალთა I საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ნ. მ-მ ვერ დაწერა ქიმიური რეაქციის ვერც ერთი ფორმულა (მასწ. მ. ღოღობერიძე), დუშეთის რაიონის არანისის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ნ. ხ-მა ფიზიკასა და ქიმიაში გამოცდაზე მიიღო ნიშანი „2“ (მასწ. ბოჭორიშვილი, მ. ამონაშვილი).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე 1950 წელს ოქროსა და ვერცხლის მედალზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთმა ნაწილმა უცხო ენის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნა. ასე, მაგალითად, გუდაუთის I საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანმა ნ. კ-მა ინგლისურ ენაში მიიღო ნიშანი „2“ (მასწ. თ. ბოკერია), ონის ქალთა საშუალო სკოლის ვერცხლის მედალოსანმა (გერმანულ ენაში ნიშან „5“ მქონემ) გამოცდაზე მიიღო „3“ (მასწავლებელი ნ. სვანიძე).

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინერო ინსტიტუტში უდისციპლინობის გამო გამოცდებიდან მოიხსნა ზუგდიდის რაიონის ანაკლიის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვ. ნ-ა (დირ. ბ. დიდიშვილი).

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალური მიდგომისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების დროს ცალკე სასწავლო დისციპლინებში მასწავლებლები და საგამოცდო კომისიის წევრები დაუმსახურებლად უწერდნენ მოსწავლეებს მაღალ შეფასებას „5“ და „4“-ს, ხოლო აღნიშნული მოსწავლენი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე იჩენდნენ მასალის სუსტ ცოდნას და იღებდნენ ნიშან „2“, გამოეცხადოს საყვედური:

1. მ. ჟვანიას—ცხაკაიას ვაჟთა საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

2. პ. ბარამიას—ქ. ფოთის ვაჟთა I საშუალო სკოლის მასწავლებელს.

3. დ. ბერიძეს — გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

4. ნ. ყანდაშვილს—სიღნაღის რაიონის ქვემობოდბის საშ. სკოლის მასწავლებელს.

5. დ. ფოცხვერიას—სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის საშ. სკოლის მასწავლებელს.

6. ი. მახათაძეს—კასპის რაიონის ქვემოჭალის საშ. სკ. მასწავლებელს.

7. პ. საველიევს—თეთრიწყაროს რაიონის თეთრიწყაროს საშ. სკოლის მასწავლებელს.

8. ალ. ალავიძეს—ცაგერის რაიონის ალპანის საშ. სკოლის მასწავლებელს.

9. თ. გვასალიას—ასპინძის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელს.

10. ხ. კუჭავას—ხობის რაიონის ძველი ხიბულის საშ. სკოლის მასწავლებელს.

11. ვ. ძიძიგურს—გეგეჭკორის რაიონის აბედათის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

12. თ. მაღლაფერიძეს—ასპინძის რაიონის ტოლოშის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

13. კ. გავრიშს—ასპინძის რაიონის ჭობარეთის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

14. ა. კანდელაკს—სიღნაღის რაიონის ქვემომაჩხაანის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

15. ს. პაპავას—ჩხოროწყუს რაიონის ქვემოჩხოროწყუს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

16. ნ. მალანიას—ყაზბეგის რაიონის სიონის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

17. კ. დოხნაძეს—ამბროლაურის რაიონის სინათლის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

18. ლ. კუვალდინს—ზნაურის რაიონის ვახტანის საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

19. ბოკერიას—გუდაუთის I საშ. სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს.

20. მ. ღოღობერიძეს—ქ. სოხუმის ქალთა I საშ. სკოლის ქიმიის მასწავლებელს.

21. პ. უბირიას—გულრიფშის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს.

22. ფირცხალავას—გალის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს.

23. გეგეჭკორს—გალის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს.

24. დ. შკუბულიანს—ცაგერის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

II. კლასიდან კლასში გადასაყვანი და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების ინსტრუქციის უხეშად დარღვევისათვის, რაც მოსწავლეთა სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელ საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესწორებასა და შემდეგ გადათვალიერებაში და გადასაყვან კლასში საგამოცდო წერის თემების მოსწავლეთათვის წინასწარ გაცნობაში გამოიხატა, გამოეცხადოს საყვედური:

1. ზ. ქელეხსევას—ქარელის რაიონის ბრეთის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

2. გ. ფიფიას—ზუგდიდის რაიონის ჩხორიის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

3. დ. ღლონტს—მახარაძის რაიონის ნატანების საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

4. ვ. კანკავას—ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

III. ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატთა რუსულ ენასა და ლიტერატურაში უხარისხოდ გასწორებულ ნამუშევრების განათლების სამინისტროში წარმოდგენისათვის გამოეცხადოს საყვედური:

1. გ. ცინცაძეს—დილომის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

2. ლ. კობერიძეს—ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის საშუალო სკოლის ყოფილ მასწავლებელს.

IV. სიმწიფის ატესტაზე ჩასაბარებელ გამოცდებზე მოსწავლეთა უკანონოდ დაშვებისათვის, გამოეცხადოს საყვედური:

1. ვ. ბახტაძეს—ახალქალაქის რაიონის კოთელიის საშ. სკოლის დირექტორს.

2. მ. ლაგვილავას—ზუგდიდის რაიონის კორცხელის საშუალო სკოლის დირექტორს.

V. სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდის ოქმის დაუდევრად შევსებისათვის გამოეცხადოს საყვედური ჩხოროწყუს რაიონის ჭოლის საშუალო სკოლის დირექტორს კ. ჭეჟიას.

VI. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე საშუალო სკოლის ახლადკურსდამთავრებულთა მიერ ცალკე სასწავლო დისციპლინებში დაბალი მომზადების გამომჟღავნებისათვის მიეთითოს:

1. თ. მათათაშვილს—ქ. თბილისის ქალთა 26-ე საშ. სკოლის დირექტორს.

2. მ. მაღლაკელიძეს—ქ. თბილისის ქალთა 27-ე საშ. სკოლის დირექტორს.

3. ლ. შანიძეს—ქ. თბილისის ქალთა 44-ე საშ. სკოლის დირექტორს.

4. ს. ბიბილეიშვილს—ქ. თბილისის ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის დირექტორს.

5. გრ. ბერაიას—ქ. თბილისის ვაჟთა 43-მე საშუალო სკოლის დირექტორს.

6. ვ. ჯიჯეიშვილს—ვაჟთა მუშა-ახალგაზრდობის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

7. შ. ბზეკალავას—ლანჩხუთის რაიონის ჯურყვეთის საშუალო სკოლის დირექტორს.

8. ს. კობიაშვილს—თბილისის 44-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

9. ა. კობახიძეს—სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშ. სკოლის დირექტორს.

10. შ. ბერაძეს—თბილისის გარეუბნის რაიონის განათ. განყ. გამგეს.

11. ა. კირცხალიას—აბაშის რაიონის განათ. განყოფილების გამგეს.

12. ვ. მაჭავარიანს—ამბროლაურის რაიონის განათ. განყ. გამგეს.

13. ვ. ხახლიშვილს—ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფ. გამგეს.

14. კ. ქებაძეს—ლაგოდეხის რაიონის განათ. განყ. გამგეს.

15. ს. კოტორეიშვილს—მაიაკოვსკის რაიონის განათ. განყ. გამგეს.

16. ივ. ბედიაშვილს—საგარეჯოს რაიონის განათ. განყ. გამგეს.

17. ვ. კაკაჩიას—წალენჯიხის რაიონის განათ. განყ. გამგეს.

18. ნ. გობეჩიას—ჩხოროწყუს რაიონის განათ. განყ. გამგეს.

19. ვ. მაცაბერიძეს—მცხეთის რაიონის განათ. განყ. გამგეს.

VII. მათემატიკაში XI კლასის საგამოცდო დამატებითი ბილეთების წინასწარ შეუმოწმებლობისათვის მიეთითოს: გურჯაანის საშუალო სკოლის გამომცდელ მასწავლებელ ლ. მესხაძეს.

VIII. ვაფრთხილებ ბრძანებაში აღნიშნულ მასწავლებლებს, რომელთა მოსწავლეებმაც ცალკე სასწავლო საგნებში კლასიდან კლასში გადასაყვან, სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე გამოიჩინეს აკადემიური მომზადების სისუსტე, მიმდინარე სასწავლო წელს გარდაქმნან მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი

ზომები. ვავალებ განათლების განყოფილებათა გამგეებს გააძლიერონ კონტროლი აღნიშნულ მასწავლებელთა მუშაობაზე.

IX. მიღებულ იქნას მხედველობაში რომ შესაფერისი სასჯელი უკვე დაედო ბრძანებაში მოხსენებულ შემდეგ მასწავლებლებს:

1. ბ. კობალაძეს—ჩოხატაურის რაიონის კოხნარის საშ. სკოლის დირექტორს.

2. ნ. მიშველაძეს—ქ. სოხუმის ქალთა I საშუალო სკოლის დირექტორს

3. ჩხოლორაიას—ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

4. მ. ხუბულავას—ზუგდიდის რაიონის ჯიხასკარის საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

5. ავთ. ოზიაშვილს—სიღნაღის რაიონის ქვემომაჩხაანის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

6. შ. სიორდიას—ზუგდიდის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს.

X. ვავალებ განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განხილვა ყველა სკოლის პედსაბჭოს სხდომებზე და მიღებული იქნას ქმედითი ღონისძიებანი, რათა მიმდინარე სასწავლო წელს მსგავს შემთხვევებს არ ექნეს ადგილი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **მ. კუპრაძე**

რედაქტორი მ. ბურჭულაძე.
პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

უე17935. **შეკვ. № 2315.** **ტირაჟი 3.000**